პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

მარტი, 1938 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის თვიური ორგანო | ფასი 30 კაპ. № 6 (61)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დაუნდობლად გავანადგურეთ მკვლელთა და ჯაშუშთა ბანდა

ა.-წ. 2 მარტს სსრ. კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის ღია სხდომაზე დაიწყო „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ მონაწილეთა პროცესი. საბრალდებო სკამზე სხედან დივერსიული, ჯაშუშური, მავნებლური და ტერორისტული საქმიანობის ხელმძღვანელნი და მონაწილენი: ბუხარინი, რიკოვი, იაგოდა, კრესტინსკი, რაკოვსკი, როზენგოლცი, ივანოვი, ჩერნოვი, გრინკო, ზელენსკი, ბესონოვი, ზკრამოვი, ფაიზულა ხოჯაევი, შარანგოვიჩი, ზუბარევი, ბულანოვი, ლევინი, პლეტნევი, კაზაკოვი, მაქსიმოვი და კრიუჩკოვი.

საბრალდებლო დასკვნაში მოყვანილმა ფაქტებმა, პროცესზე გამომეღავნებულმა ფაქტებმა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ მონაწილეთა გულშემზარავი ბოროტმოქმედების შესახებ ალამფოთა მთელი საბჭოთა ქვეყანა, მთელი მშრომელი კაცობრიობა.

არ არის ისეთი სისაძაგლე, დანაშაული, რომელიც არ ჩაედინოთ „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ მონაწილეებს. ეს „ბლოკი“ წარმოადგენდა საზიზღარ ბანდას პროფესიული მავნებლებისა, დივერსანტებისა, ჯაშუშებისა, მკვლელებისას, რომლებმაც ადამიანის სახის ყოველივე მსგავსება დაჰკარგეს. ისინი ვაჭრობდნენ ჩვენი სამშობლოთი. მათ უნდოდათ დაებრუნებიათ კაპიტალისტებისა და მემამულეების ბატონობა, მათ უნდოდათ ჩვენი ქვეყანა გადაექციათ იმპერიალისტების კოლონიად, ხოლო ჩვენი ხალხი კაპიტალისტების მონებად. საზიზღარი მოღალატენი უცხოეთის დაზვერვას ებრძოდნენ საბჭოთა სახელმწიფო საიდუმლოებას, ვაჭრობდნენ სსრ კავშირის ხალხთა თავისუფლებით.

საბჭოთა ხალხის უბოროტესი მტრები — ტროცკი, ბუხარინი, რიკოვი და სხვა არამზადები იმპერიალისტურ ავაზაკებს შეჰპირდნენ, რომ უზრუნველყოფდნენ საბჭოთა კავშირის დანაწილებას, მისგან უკრაინის, ბელორუსიის, შუა აზიის რესპუბლიკების, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და შორეული აღმოსავლეთის პრიმორიის ჩამოშორებას.

ტროცკისტ-ბუხარინელმა ბანდიტებმა მოაწყეს მეზნებარე ტრიბუნის ამხანაგ **კიროვის** ვერაგული მკვლელობა. „ათ განახორციელეს ჩვენი პარტიის საყვარელი შვილების — **კუიბიშევის, მენჟინსკის** და გენიალური მწერლის **გორკის** მკვლელობა. ისინი ამზადებდნენ ტერორისტულ აქტებს ჩვენი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების მიმართ. ისინი აწყობდნენ მავნებლობასა და დივერსიებს ჩვენი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. მათ განზრახული ჰქონდათ მუშებისა და გლეხების ვილიონობით ამოყლეტა, საბჭოთა ქალაქების დანგრევა, საბჭოთა ჭარხნებისა და კოლმეურნეობების განადგურება.

ხალხის ეს უბოროტესი მტრები ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი ბიანი, მეტი ენერგია მიეყენებიათ ხალხისთვის, შეელახათ მშრომელთა ინტერესები, ჩაეშალათ ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყველა ღონისძიება, რომელიც მუდამ მიმართულია მშრომელი მასების კეთილდღეობის, ზრდისაკენ.

საბჭოთა ხალხის დაუძინებელი მტრები: ტროცკის, ბუხარინის, რიკოვის და დანაჩრენი არამზადებისათვის გზა ბურჟუაზიული „ოხრანკების“ ახალი არ არის. დადასტურებულია, რომ ტროცკი არის ჯაშუში ოქტომბრის საბ. სამ. სამ. ... ... ...

# დებულება

## საქართველოს სსრ-კის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ

## თავი I

### საარჩევნო სისტემა

**მუხლი 1.** საქართველოს სსრ კონსტიტუციის 147 მუხლის საფუძველზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს ამომრჩევლები ირჩევენ საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

**მუხლი 2.** საქართველოს სსრ კონსტიტუციის 148 მუხლის საფუძველზე, დეპუტატთა არჩევნები საყოველთაოა: საქართველოს სსრ ყველა მოქალაქეს, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა, დამოუკიდებლად რასობრივი და ნაციონალური კუთვნილებისა, სარწმუნოებისა, განათლების ცენზისა, ბინადრობისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა და წარსული საქმიანობისა, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს დეპუტატთა არჩევნებში და არჩეულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში, გარდა შეშლილებისა და იმ პირებისა, რომელნიც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებულნი არიან საარჩევნო უფლებათა ჩამორთმევით.

**მუხლი 3.** საქართველოს სსრ კონსტიტუციის 149 მუხლის საფუძველზე, დეპუტატთა არჩევნები თანასწორია: თვითეულ მოქალაქეს ერთი ხმა აქვს; ყველა მოქალაქე მონაწილეობს არჩევნებში თანასწორ საფუძველებზე.

**მუხლი 4.** საქართველოს სსრ კონსტიტუციის 150 მუხლის საფუძველზე, ქალები სარგებლობენ უფლებით აირჩიონ და არჩეულ იქნან მამაკაცების თანაბრად.

**მუხლი 5.** საქართველოს სსრ კონსტიტუციის 151 მუხლის საფუძველზე, წითელი არმიის რიგებში მყოფი მოქალაქენი სარგებლობენ უფლებით აირჩიონ და არჩეულ იქნან ყველა მოქალაქის თანაბრად.

**მუხლი 6.** საქართველოს სსრ კონსტიტუციის 154 მუხლის საფუძველზე, კანდიდატები არჩევნების დროს წამოყენებულ იქნებიან საარჩევნო ოლქების მიხედვით.

## თავი II

### ამომრჩეველთა სიები

**მუხლი 7.** ამომრჩეველთა სიებს ადგენენ ქალაქებში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო, ხოლო იმ ქალაქებში, რომელთაც რაიონული დაყოფა აქვთ—რაიონული საბჭო; სასოფლო ადგილებსა და დაბებში—მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭო.

**მუხლი 8.** ამომრჩეველთა სიებში შეიტანებიან ყველა მოქალაქენი, რომლებსაც აქვთ საარჩევნო უფლება, სიების შედგენის მომენტისათვის ცხოვრობენ (მუდმივად ან დროებით) მოცემული საბჭოს ტერიტორიაზე და არჩევნების დღისათვის 18 წელი შეუსრულდათ.

**მუხლი 9.** ამომრჩეველთა სიებში არ შეიტანებიან სასამართლო განაჩენით საარჩევნო უფლებაჩამორთმეული პირნი მთელი იმ ვადის განმავლობაში, რა ვადითაც საარჩევნო უფლებათა ჩამორთმევა განაჩენშია განსაზღვრული, აგრეთვე ის პირნი, რომლებიც კანონით დადგენილი წესით ცნობილი არიან შეშლილებად.

**მუხლი 10.** ამომრჩეველთა სიები სდგება თვითეული საარჩევნო უბნის მიხედვით, ალფაბეტური წესით, ამომრჩევლის გვარის, სახელისა და მამის სახელის, ასაკისა და საცხოვრებელი ადგილის აღნიშვნით და ამ სიებს ხელს აწერენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

**მუხლი 11.** ამომრჩეველთაგან არავინ არ შეიძლება შეტანილ იქნას ერთზე მეტ საარჩევნო სიაში.

**მუხლი 12.** სამხედრო ნაწილებსა და ჯარების შენაერთებში მყოფ ამომრჩეველთა სიებს ადგენს სარდლობა მეთაურისა და სამხედრო კომისრის ხელმოწერით. ყველა დანარჩენი სამხედრო მოსამსახურე ამომრჩეველთა სიებში შეაქვთ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მშრომელთა დეპუტატების სათანადო საბჭოებს.

**მუხლი 13.** ამომრჩეველთა სიები, იმ საარჩევნო უბნებისა, რომლებიც იქმნება საავადმყოფოებთან, სამშობიარო სახლებთან, სანატორიუმებთან და სხვა სამკურნალო დაწესებულებებთან, სდგება როგორც ავადმყოფ მოქალაქეებზე, ისე იმ სამედიცინო პერსონალზედაც, რომელიც არჩევნების დღეს მორიგედ იმყოფება.

არჩევნებში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიათ ავადმყოფებს, რომლებიც იმყოფებიან საქუთრუშო და სადიფტერიტო განყოფილებებში.

**მუხლი 14.** არჩევნებამდე 30 დღით ადრე მშრომელთა დეპუტატების საბჭო ამომრჩეველთა სიებს გამოაკრავს საყოველთაო გასაცნობად ან უზრუნველჰყოფს ამომრჩეველებისათვის ამ სიების გაცნობის შესაძლებლობას საბჭოს შენობაში.

**მუხლი 15.** ამომრჩეველთა სიების დედანი ინახება შესაბამისად მშრომელთა დეპუტატების საბჭოში და სამხედრო ნაწილში ან ჯარების შენაერთში.

**მუხლი 16.** ამომრჩეველთა სიის გამოქვეყნებიდან არჩევნების დღემდე, ამომრჩევლის მიერ თავისი ადგილსამყოფელის გამოცვლის დროს მშრომელთა დეპუტატების სათანადო საბჭო აძლევს მას ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დაწესებული ფორმით „ხმის მიცემის უფლების მოწმობას“ და ამომრჩეველთა სიაში აღნიშნავს—„წავიდა“, ახალ საცხოვრებელ პუნქტში—მუდმივსა თუ დროებითში—ამომრჩეველი შეაქვთ ამომრჩეველთა სიაში პირადობის მოწმობის, აგრეთვე „ხმის მიცემის უფლების მოწმობის“ წარდგენისას.

**მუხლი 17.** განცხადება ამომრჩეველთა სიაში დაშვებული შეცდომის შესახებ (სიებში შეუტანლობა, სიებიდან ამოშლა, გვარის, სახელისა და მამის სახელის დამახინჯება, საარჩევნო უფლებაჩამორთმეულ პირთა არასწორად შეტანა სიებში) შეიტანება მშრომელთა დეპუტატების იმ საბჭოში, რომელმაც სიები გამოაქვეყნა.

**მუხლი 18.** მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი მოვალეა თვითეული განცხადება ამომრჩეველთა სიაში დაშვებული შეცდომის შესახებ განიხილოს სამი დღის ვადაში.

**მუხლი 19.** ამომრჩეველთა სიაში დაშვებული შეცდომის შესახებ განცხადების განხილვის შემდეგ, მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი მოვალეა ან შეიტანოს საჭირო შესწორებანი ამომრჩეველთა სიაში, ან განმცხადებელს მისცეს წერილობითი ცნობა მისი განცხადების უარყოფის მოტივების შესახებ; თუ განმცხადებელი არ ეთანხმება მშრომელთა დეპუტატების საბჭოს გადაწყვეტილებას, მას შეუძლიან საჩივარი შეიტანოს სახალხო სასამართლოში.

**მუხლი 20.** სახალხო სასამართლო ვალდებულია სამი დღის განმავლობაში სასამართლოს ღია სხდომაზე განმცხადებლისა და საბჭოს წარმომადგენლის გამოძახებით განიხილოს საჩივარი სიაში დაშვებული შეცდომის შესახებ და თავისი გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აცნობოს როგორც განმცხადებელს, ისე საბჭოს. სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა.

## თავი III

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქები

**მუხლი 21.** საქართველოს სსრ კონსტიტუციის 28 მუხლის საფუძველზე, საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს ირჩევენ საქართველოს სსრ მოქალაქენი საარჩევნო ოლქების მიხედვით.

**მუხლი 22.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქი სდგება შემდეგი პრინციპით: ოლქზე 15.000 მცხოვრები. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თვითეული საარჩევნო ოლქი ჰგზავნის ერთ დეპუტატს.

**მუხლი 23.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქებს ჰქმნის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

**მუხლი 24.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქების სიას აქვეყნებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი არჩევნების დღის დანიშვნასთან ერთად.

## თავი IV

### საარჩევნო უბნები

**მუხლი 25.** საარჩევნო ბიულეტენების მისაღებად და ხმების დასათვლელად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქებში შემავალი ქალაქებისა და რაიონების ტერიტორია იყოფა საარჩევნო უბნებად.

**მუხლი 26.** საარჩევნო უბნებს ჰქმნიან ქალაქებში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოები, იმ ქალაქებში, რომლებსაც რაიონული დაყოფა აქვთ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოები; სასოფლო ადგილებში — მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოები.

**მუხლი 27.** საარჩევნო უბნების შექმნა ხდება არჩევნებამდე არაუგვიანეს 45 დღისა.

**მუხლი 28.** იმ სასოფლო საბჭოს ტერიტორია, რომელიც ითვლის არაუმეტეს 2.000 მცხოვრებისა, შეადგენს, როგორც წესი, ერთ საარჩევნო უბანს; თვითეულ დაბასა და სოფელში, რომელშიც ირიცხება 500 და მეტი მცხოვრები, მაგრამ არაუმეტეს 2.000-ისა, ეწყობა ცალკე საარჩევნო უბანი.

იმ სოფლებში ან სოფელთა ჯგუფში, რომელთა მოსახლეობა 500 მცხოვრებზე ნაკლებია, მაგრამ არაუმცირეს 300 მცხოვრებისა, თუ ასეთი სოფლების მანძილი საარჩევნო უბნის ცენტრამდე 10 კილომეტრს აღემატება, შეიძლება შეიქმნას ცალკე საარჩევნო უბნები.

**მუხლი 29.** შორეულ რაიონებში, სადაც მცირემოსახლე ადგილები სჭარბობენ, დაიშვება საარჩევნო უბნების მოწყობა არანაკლებ 100 მცხოვრების რაოდენობით.

მთაგორიანი და მომთაბარე რაიონებისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნებართვით დაიშვება საარჩევნო უბნების მოწყობა 100 მცხოვრებზე ნაკლები რაოდენობით, მაგრამ არაუმცირეს 50 მცხოვრებისა.

**მუხლი 30.** ქალაქები, მუშათა დაბები, აგრეთვე სოფლები და სასოფლო საბჭოს ტერიტორია, რომლებიც 2.000 მცხოვრებზე მეტს ითვლიან, იყოფიან საარჩევნო უბნებად შემდეგი ანგარიშით: ერთი საარჩევნო უბანი 1.500—2.500 მცხოვრებზე.

**მუხლი 31.** სამხედრო ნაწილები და ჯარის შენაერთები შეადგენენ ცალკე საარჩევნო უბნებს არანაკლებ 50 და არაუმეტეს, ვიდრე 1.500 ამომრჩეველთან, რომლებიც შედიან საარჩევნო ოლქში ნაწილის ან ჯარის შენაერთის ადგილსამყოფელის მიხედვით.

**მუხლი 32.** საავადმყოფოებთან, სამშობიარო სახლებთან, სანატორიუმებთან და ინვალიდთა სახლებთან, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 50-ზე ნაკლები არ არის, იქმნება ცალკე საარჩევნო უბნები.

საავადმყოფოებში, რომლებსაც რამდენიმე კორპუსი აქვთ, დაიშვება საარჩევნო უბნების შექმნა ცალკეულ კორპუსებში, თუ თვითეულ მათგანში არის არანაკლებ 50 ამომრჩევლისა.

საავადმყოფოებსა და სხვა სამკურნალო დაწესებულებებში, სადაც ცალკე საარჩევნო უბნები არ ეწყობა, დაიშვება საარჩევნო ბიულეტენების მიღება თვით საავადმყოფოებსა და სამკურნალო დაწესებულებებში საარჩევნო კომისიების გამოყოფილ წევრთა მიერ. ამ შემთხვევებში საავადმყოფოებს მოამარაგებენ ცალკე საარჩევნო ყუთებით.

**მუხლი 33.** იმ გემებს, რომლებზედაც ამომრჩეველთა რაოდენობა 25-ზე ნაკლები არ არის, და რომლებიც არჩევნების დღეს გზაში იმყოფებიან, შეუძლიათ შეადგინონ ცალკე საარჩევნო უბნები, რომლებიც შევლენ საარჩევნო ოლქებში გემის მიწერის ადგილის მიხედვით.

## თავი V

### საარჩევნო კომისიები

**მუხლი 34.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია სდგება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენელთაგან, და მას ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებზე ამტკიცებენ ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭო არაუგვიანეს 55 დღისა არჩევნებამდე.

**მუხლი 35.** ცენტრალური საარჩევნო კომისია იქმნება თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და 12 წევრის შემადგენლობით.

**მუხლი 36.** ცენტრალური საარჩევნო კომისია:

ა) საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე თვალყურს ადევნებს იმას, რომ არჩევნების მსვლელობაში განუხრელად შესრულდეს „დებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“;

ბ) განიხილავს საჩივრებს საარჩევნო კომისიების არასწორ მოქმედებათა შესახებ და საჩივრების გამო გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებებს;

გ) აწესებს ბეჭდების, საარჩევნო ყუთების ნიმუშებს, „ხმის მიცემის უფლების მოწმობის“ ფორმას, საარჩევნო ბიულეტენებისა და მათი კონვერტების ფორმასა და ფერს, ამომრჩეველთა სიის ფორმას, ხმების დათვლის ოქმების ფორმას, არჩევის შესახებ მოწმობათა ფორმას;

დ) ახდენს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში არჩეულ დეპუტატთა რეგისტრაციას;

ე) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიას გადასცემს არჩევნების საქმისწარმოებას.

**მუხლი 37.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თვითეულ საარჩევნო ოლქში იქმნება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისია.

**მუხლი 38.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები სდგებიან საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენელთაგან, და მას ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებზე ამტკიცებენ ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭო არაუგვიანეს 55 დღისა არჩევნებამდე.

**მუხლი 39.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისია იქმნება თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და 6 წევრის შემადგენლობით.

**მუხლი 40.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისია:

ა) თვალყურს ადევნებს საარჩევნო უბანთა დროულად მოწყობას მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სათანადო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ;

ბ) აწესებს საარჩევნო უბნების რიგითს ნომრებს;

გ) თვალყურს ადევნებს ამომრჩეველთა სიების დროულად შედგენას და მათს ყველასთვის გაცნობას;

დ) ახდენს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის იმ კანდიდატთა რეგისტრაციას, რომელნიც წამოყენებულნი არიან საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ მოთხოვნათა დაცვით;

ე) ამარაგებს საუბნო საარჩევნო კომისიებს დაწესებული ფორმის საარჩევნო ბიულეტენებითა და კონვერტებით;

ვ) აწარმოებს ხმების დათვლას და არკვევს არჩევნების შედეგებს ოლქში;

ზ) ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წარუდგენს არჩევნების საქმისწარმოებას;

თ) აძლევს არჩეულ დეპუტატს მოწმობას არჩევის შესახებ.

**მუხლი 41.** საუბნო საარჩევნო კომისიები სდგებიან საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენელთაგან და მათ ამტკიცებენ ქალაქებში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოები, ხოლო იმ ქალაქებში, რომლებსაც რაიონული დაყოფა აქვთ, — მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოები; სასოფლო ადგილებში—მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოები—არჩევნებამდე არაუგვიანეს 40 დღისა.

**მუხლი 42.** საუბნო საარჩევნო კომისია იქმნება თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და 2—6 წევრის შემადგენლობით.

**მუხლი 43.** საუბნო საარჩევნო კომისია:

ა) აწარმოებს საარჩევნო ბიულეტენების მიღებას საარჩევნო უბანში;

ბ) აწარმოებს ხმების დათვლას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თვითეული კანდიდატის მიხედვით;

გ) არჩევნების საქმისწარმოებას გადასცემს საოლქო საარჩევნო კომისიას.

**მუხლი 44.** ცენტრალური საარჩევნო კომისიის, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების სხდომები კანონიერად ჩაითვლება, თუ მათში მონაწილეობას იღებს კომისიათა საერთო შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

**მუხლი 45.** ყველა საკითხი საარჩევნო კომისიებში სწყდება ხმის უბრალო უმრავლესობით; როდესაც ხმები თანაბარია—თავმჯდომარის ხმა გადასწონს.

**მუხლი 46.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების მოხდენისთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო.

**მუხლი 47.** ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებს აქვთ თავიანთი ბეჭედი ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დაწესებული ნიმუშის მიხედვით.

## თავი VI

### საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენების წესი

**მუხლი 48.** საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში კანდიდატების წამოყენების უფლება უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის და მშრომელთა საზოგადოებებისათვის — საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუციის 154 მუხლის საფუძველზე: კომუნისტური პარტიული ორგანიზაციებისა, პროფესიული კავშირებისა, კოოპერატივებისა, ახალგაზრდობის ორგანიზაციებისა, კულტურული საზოგადოებებისა და სხვა ორგანიზაციებისათვის, რომლებიც რეგისტრირებული არიან კანონით დადგენილი წესით.

**მუხლი 49.** კანდიდატების წამოყენების უფლებას ანხორციელებენ როგორც საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მშრომელების საზოგადოებათა ცენტრალური ორგანოები, ისე მათი რესპუბლიკური, საოლქო და სარაიონო ორგანოები, ისევე, როგორც საერთო კრებები მუშებისა და მოსამსახურეებისა საწარმოებში, წითელარმიელებისა — სამხედრო ნაწილებში, აგრეთვე საერთო კრებები გლეხებისა—კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და მოსამსახურეებისა—საბჭოთა მეურნეობებში.

**მუხლი 50.** დეპუტატობის კანდიდატები არ შეიძლება იყვნენ საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების, აგრეთვე იმ ოლქის საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები, სადაც ისინი წამოყენებული არიან დეპუტატობის კანდიდატებად.

**მუხლი 51.** არაუგვიანეს 30 დღისა არჩევნებამდე ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია ან მშრომელთა საზოგადოებანი, რომელნიც აყენებენ საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს, ვალდებულნი არიან რეგისტრაციაში გაატარონ დეპუტატობის კანდიდატები საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების სათანადო საოლქო საარჩევნო კომისიაში.

**მუხლი 52.** საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები ვალდებულნი არიან რეგისტრაციაში გაატარონ საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის ყველა კანდიდატი, წამოყენებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების მიერ საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და „საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ მოთხოვნათა დაცვით.

**მუხლი 53.** საზოგადოებრივი ორგანიზაცია ან მშრომელთა საზოგადოება, რომელნიც აყენებენ საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, ვალდებულნი არიან წარადგინონ საოლქო საარჩევნო კომისიაში შემდეგი დოკუმენტები:

ა) დეპუტატობის კანდიდატის წამომყენებელი კრებისა ან სხდომის ოქმი, ხელმოწერილი პრეზიდიუმის წევრების მიერ, მათი ასაკის, საცხოვრებელი ადგილის, კანდიდატის წამომყენებელი ორგანიზაციის სახელწოდების, დეპუტატობის კანდიდატის წამომყენებელი კრების ან სხდომის ადგილის, დროისა და მონაწილეთა რაოდენობის აღნიშვნით, ამასთან ოქმში აღნიშნულ უნდა იქნას დეპუტატობის კანდიდატის გვარი, სახელი, მამის სახელი, მისი ასაკი, საცხოვრებელი ადგილი, პარტიულობა, მოსაქმეობა;

ბ) დეპუტატობის კანდიდატის განცხადება, რომ იგი თანახმაა კენჭი იყაროს ამ საარჩევნო ოლქში მისი წამომყენებელი ორგანიზაციის სახელით.

**მუხლი 54.** საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს შეუძლიან კენჭი იყაროს მხოლოდ ერთ ოლქში.

**მუხლი 55.** საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიის უარი იმაზე, რომ რეგისტრაციაში გაატაროს დეპუტატობის კანდიდატი, შეიძლება გასაჩივრებულ იქნას ორი დღის ვადაში ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

**მუხლი 56.** საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის თვითეული რეგისტრირებული კანდიდატის გვარი, სახელი, მამის სახელი, ასაკი, მოსაქმეობა, პარტიულობა და იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახელწოდება, რომელმაც კანდიდატი წამოაყენა, ქვეყნდება საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნებამდე არაუგვიანეს 25 დღისა.

**მუხლი 57.** საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის ყველა რეგისტრირებული კანდიდატი აუცილებლად უნდა იქნას შეტანილი საარჩევნო ბიულეტენში.

**მუხლი 58.** საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიები ვალდებულნი არიან საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებამდე არაუგვიანეს 15 დღისა დაბეჭდონ და დაუგზავნონ ყველა საუბნო საარჩევნო კომისიას საარჩევნო ბიულეტენები.

**მუხლი 59.** საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება სათანადო საარჩევნო ოლქის მოსახლეობის ენებზე.

**მუხლი 60.** საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დაწესებული ფორმის მიხედვით და იმ რაოდენობით, რაც უზრუნველჰყოფს ყველა ამომრჩევლის მომარაგებას საარჩევნო ბიულეტენებით.

**მუხლი 61.** თვითეული ორგანიზაციისათვის, რომელმაც წამოაყენა კანდიდატი, რეგისტრირებული საოლქო საარჩევნო კომისიაში, ისევე როგორც საქართველოს სს რესპუბლიკის თვითეული მოქალაქისათვის, უზრუნველყოფილია უფლება დაუბრკოლებლივ გასწიოს აგიტაცია ამ კანდიდატის სასარგებლოდ კრებებზე, პრესაში და სხვა საშუალებებით, თანახმად საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუციის 138 მუხლისა.

## თავი VII

### კენჭისყრის წესი

**მუხლი 62.** საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები ხდება ერთი დღის—საქართველოს სს რესპუბლიკისათვის საერთო დღის—განმავლობაში.

**მუხლი 63.** საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს აწესებს საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი არჩევნების ვადამდე არაუგვიანეს 2 თვისა. არჩევნები ხდება არასამუშაო დღეს.

**მუხლი 64.** არჩევნების წინ უკანასკნელი 20 დღის განმავლობაში საუბნო საარჩევნო კომისია ყოველდღე აქვეყნებს ან რაიმე სხვა საშუალებით ფართოდ აცნობებს ამომრჩევლებს არჩევნების დღისა და არჩევნების ადგილს.

**მუხლი 65.** ამომრჩეველთა მიერ ხმის მიცემა ხდება არჩევნების დღეს დილის 6 საათიდან ღამის 12 საათამდე ადგილობრივი დროით.

**მუხლი 66.** არჩევნების დღეს დილის 6 საათზე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრების თანადასწრებით ამოწმებს საარჩევნო ყუთებს და იმას, არის თუ არა ამომრჩეველთა სია შედგენილი დაწესებული ფორმის მიხედვით, რის შემდეგ ხურავს და ლუქავს ყუთებს კომისიის ბეჭედით და იწვევს ამომრჩევლებს დაიწყონ ხმის მიცემა.

**მუხლი 67.** თვითეული ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად, რისთვისაც ცხადდება ხმის მიცემისათვის გამოყოფილ შენობაში, ამასთანავე ამომრჩეველთა მიერ ხმის მიცემა ხდება კონვერტში დაბეჭდილი საარჩევნო ბიულეტენების საარჩევნო ყუთში ჩაშვების გზით.

**მუხლი 68.** საარჩევნო შენობაში ბიულეტენების შესავსებად გამოიყოფა ცალკე ოთახი, სადაც ხმის მიცემის დროს აკრძალულია იყოს ვინმე, მათ რიცხვში საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებიც, გარდა ხმის მიმცემთა; თუ ბიულეტენების შესავსებად ოთახში ერთდროულად შეშვებულ იქნება რამდენიმე ამომრჩეველი, იქ უნდა დაიდგას იმდენი ტახტი ან შრმა, რამდენი ამომრჩეველიც შეშვებულ იქნება ერთდროულად.

**მუხლი 69.** საარჩევნო შენობაში მისული ამომრჩეველი საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს ან წევრს წარუდგენს ან პასპორტს, ან საკოლმეურნეო წიგნაკს, ან პროფკავშირის ბილეთს, ან პირადობის სხვა მოწმობას, და ამომრჩეველთა სიის მიხედვით შემოწმებისა და ამომრჩეველთა სიაში აღნიშვნის შემდეგ ღებულობს დაწესებული ნიმუშის საარჩევნო ბიულეტენსა და კონვერტს.

**მუხლი 70.** იმ პირებზე, რომლებიც გამოცხადდნენ საარჩევნო შენობაში „ხმის მიცემის უფლების მოწმობით“, თანახმად ამა „საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 16 მუხლისა, საუბნო საარჩევნო კომისია ადგენს განსაკუთრებულ სიას, რაც დაერთვის ამომრჩეველთა სიას.

**მუხლი 71.** საარჩევნო ბიულეტენების შესავსებად გამოყოფილ ოთახში ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტენში სტოვებს იმ კანდიდატის გვარს, რომელსაც ხმას აძლევს, დანარჩენებს შლის; ამომრჩეველი ბიულეტენს სდებს კონვერტში, ბეჭდავს მას, გადის იმ ოთახში, სადაც საუბნო საარჩევნო კომისია იმყოფება, და კონვერტს საარჩევნო ბიულეტენით ჩაუშვებს საარჩევნო ყუთში.

**მუხლი 72.** ამომრჩევლებს, რომელთაც წერა-კითხვის უცოდინარობის ან რაიმე ფიზიკური ნაკლის გამო შესაძლებლობა არა აქვთ დამოუკიდებლად შეავსონ საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვთ მიიწვიონ იმ ოთახში, სადაც საარჩევნო ბიულეტენები ივსება, საარჩევნო ბიულეტენის შესავსებად რომელიმე სხვა ამომრჩეველი.

**მუხლი 73.** საარჩევნო აგიტაცია საარჩევნო შენობაში ხმის მიცემის დროს არ დაიშვება.

**მუხლი 74.** პასუხისმგებლობა წესრიგისათვის საარჩევნო შენობაში ეკისრება კომისიის თავმჯდომარეს, და მისი განკარგულებანი ყველა დამსწრესათვის სავალდებულოა.

**მუხლი 75.** არჩევნების დღეს ღამის 12 საათზე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ხმის მიცემას დამთავრებულად აცხადებს, და კომისია იწყებს საარჩევნო ყუთების გახსნას.

## თავი VIII

### არჩევნების შედეგების გამორკვევა

**მუხლი 76.** შენობაში, სადაც საუბნო საარჩევნო კომისია ხმებს ითვლის, ხმების დათვლაზე დასწრების უფლება აქვთ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების წარმომადგენლებს, რომელთაც საამისოდ სპეციალური რწმუნება აქვთ, აგრეთვე პრესის წარმომადგენლებს.

**მუხლი 77.** საუბნო საარჩევნო კომისია, ყუთების გახსნის შემდეგ, მიცემული კონვერტების რიცხვს ადარებს ხმის მიცემაში მონაწილე პირთა რიცხვს და შედარების შედეგები შეაქვს ოქმში.

**მუხლი 78.** საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა წევრის თანადასწრებით ხსნის კონვერტებს და აქვეყნებს ხმის მიცემის შედეგებს თვითეული ბიულეტენის მიხედვით.

**მუხლი 79.** კომისიის მდივანი და საუბნო საარჩევნო კომისიის საამისოდ რწმუნებული წევრები დეპუტატობის თვითეულ კანდიდატზე აგენენ დასათვლელ ფურცელს 2 ცალად.

**მუხლი 80.** გაუქმებულად ჩაითვლება ბიულეტენები:

ა) არადაწესებული ნიმუშისა და ფერისა;

ბ) მიცემული უკონვერტოდ ან არადაწესებული ნიმუშის კონვერტით;

გ) კანდიდატთა ისეთი რაოდენობით, რომელიც აღემატება ასარჩევ დეპუტატთა რიცხვს.

**მუხლი 81.** საარჩევნო ბიულეტენის სინამდვილეში ეჭვის შეტანისას საკითხს სწყვეტს საუბნო საარჩევნო კომისია ხმის მიცემით, რაც ოქმში აღინიშნება.

**მუხლი 82.** საუბნო საარჩევნო კომისია დაწესებული ფორმით შეადგენს ხმისმიცემის ოქმს ორ ცალად, რომლებსაც ხელს აწერს საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა წევრი, მათ შორის აუცილებლად თავმჯდომარე და მდივანი.

**მუხლი 83.** საუბნო საარჩევნო კომისიის ხმის მიცემის ოქმში უნდა აღინიშნოს:

ა) ხმის მიცემის დაწყებისა და დამთავრების დრო;

ბ) ამომრჩეველთა რიცხვი, რომლებმაც ხმა მისცეს ამომრჩეველთა სიის მიხედვით;

გ) ამომრჩეველთა რიცხვი, რომლებმაც ხმა მისცეს „ხმის მიცემის უფლების მოწმობებით“;

დ) მიცემულ კონვერტთა რიცხვი;

ე) საუბნო საარჩევნო კომისიაში შეტანილ განცხადებათა და საჩივართა მოკლე შინაარსი და საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი;

ვ) ხმების დათვლის შედეგები ყველა კანდიდატის მიხედვით.

**მუხლი 84.** ხმების დათვლის დამთავრებისა და ოქმის შედგენის შემდეგ, კომისიის თავმჯდომარე კომისიის ყველა წევრის თანადასწრებით აქვეყნებს კენჭისყრის შედეგებს.

**მუხლი 85.** საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილი კენჭისყრის ოქმის ერთი ცალი, საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კანდიდატებზე შედგენილი დასათვლელი ფურცლების ორივე ცალთან ერთად, იგზავნება სპეციალური კაცის ხელით 24 საათის განმავლობაში საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიაში.

**მუხლი 86.** ყველა საარჩევნო ბიულეტენი (ნამდვილნი ცალკე და გ

# გმირთა შეჯვარა

**ალექსანდრე ჟუთათელი**

ქარმა გააღო კავკასის კარი,
ნამქერს შმაგივით აყრიდა ქალაქს,
ათას ლომივით ღმუოდა ქარი
და დასარბევად ეძებდა ალაგს.

აბვეტა თოვლი, დაატრიალა,
თან პოლარული დაუშვა ბუნი,
დასცრა, გასტეხა ყინვა კრიალა
და ასეთ ფიქრთა ავსხენი ჰკუნ:

სად განისვენებს მდუმარე, მშვიდი.
ჩრდილო-პოლუსის თეთრი უდაბნო,
ცა მოღრუბლული, მრუდე, ვით შვილდი,
და დაღუპული მგზავრი უდანო.

სადაც სიკვდილი არის ხილული
ყინულის ხანჯლით ყელს დანაღერი,
სახეზე უნდო გირტყამს ნამქერი,
შოლტი, მთარახი წვერგაყინული,

სადაც თოვლის და ყინულის
ვარდა
არ სჩანს უდაბურ ზღვაზე არავინ,
სად სიჩუმეა გულშემზარავი,
ცივ გლეტჩერების გაშლილა ქარტა,

იქ საბჭოეთის ოთხი ჰაბუკი
იწყებს საზღაპრო თვის შემართებას,
თითქო სტანჯავდათ ზღვათა
ქარბუქი,
თითქო პოლუსთან ბრძოლა
ჰმართებდათ!

გმირებმა ყველა ქვეყნებს და
მხარეს
დიდ აღტაცებით გული აღუვსეს.
შეტევის გზი განა გაბარეს?!
სდგანან პოლუსზე ოთხი ამუნდსენ.

და ესმით, თითქო ყინულის
კლდენი
ილეწებიან გრგვინვის სამძიმით,
თითქო წარსულის დგებიან დღენი
პირველყოფილი ცეცხლის
ცემცემით.

ზანზარებს მყარი სასტიკ
გუგუნით,
მთათა მაღალთა ინგრევა უბე.
ვერ შეაშინებ რისხვით, უკუნით,
ცაო, საბჭოთა ამირნებს უკვე.

ახლავთ ბელადის დიადი აზრი
სტიქიონების დასაძლეველად,
ბრძენი არწივის თვალები ბასრი
და ამოწვდილი ფოლადის ელვა.

ნელა მოცურავს დიდი ყინული,
სამშრომებით გულის მზარავი,
მაგრამ ყინულზე მაინც გმირული
ხალხს გაუშლია თვისი კარავი.

რა ბანაკია უცხო, ახალი!
პაპანინ ისევ რადიოს უსმენს.
ბეწვიან ქურქით ზის ქედმაღალი,
მტკიცე, უდრეკი, როგორც
ამუნდსენ.

მოაქვთ მასალა არა იაფი:
ბრძოლით ნაკრები, გონებით სავსე.
უკან დასტოვეს თოვლის კიაფი
და მრუმე ნისლი, შავბნელი ასე.

მოდის „ერმაკი“ დაუცხრომელი,
შორ ისლანდიის განვლო ფიორდი,
ელის სტალინი, მხარე მშობელი
და სიყვარული კაცობრიობის.

საბჭოთა საზღვარზე — მზვერავები. ნახ. ზაზიაშვილისა

## ახალი წიგნები

### „ჩაპაევი“ ქართულად

გამომცემლობა „ფედერაცია“-ს დავალებით პოეტმა შალვა აფხაიძემ სთარგმნა დ. ფურმანოვის ცნობილი რომანი „ჩაპაევი“. წიგნი უკვე გადაეცა სტამბას და მოკლე ხანში გამოვა გასასყიდათ.

### „აღმოსავლეთში“

პავლენკოს რომანი „აღმოსავლეთში“ სთარგმნა ქართულად ამხ. ბ. ბარათაშვილმა. წიგნს სცემს „ფედერაცია“. იგი ამ მოკლე ხანში გამოვა.

### ახალგაზრდა მწერალთა კრებული

გამომცემლობა „ფედერაციამ“ დაამზადა გამოსაცემად ახალგაზრდა მწერლების ნაწარმოებთა კრებული. წიგნში მოთავსებული იქნება ამ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში ქართულ პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული ახალ გაზრდა მწერლების თვალსაჩინო ნაწერები.

კრებული გაფორმებული იქნება მხატვრულად.

### დავით გურამიშვილის რჩეული თხზულებები

რუსეთის სახელმწიფო ლიტგამომცემლობა სცემს დავით გურამიშვილის რჩეულ თხზულებათა ერთტომეულს. წიგნში მოთავსებული იქნება ლექსები და პოემები, თარგმნილი საუკეთესო რუსი პოეტების მიერ.

# მწერლის ლაბორატორია ყურადღების ცენტრში

„პრავდა“-ში, „ლიტერატურნაია გაზეტა“-ში და „კომსომოლსკაია პრავდა“-ში გამოქვეყნებულმა წერილებმა მწერალთა კავშირის მუშაობის შესახებ დიდი გამოხმაურება ჰპოვეს ჩვენს ლიტერატურულ საზოგადოებრიობაში. ამ წერილების ძირითადი მოთხოვნა იმაში მდგომარეობს, რომ მწერალთა კავშირი გახდეს ცოცხალი, მომქმედი დაწესებულება, რომ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის ყურადღების ცენტრში იდგეს მწერლის შემოქმედებითი მუშაობა.

ერთის შეხედვით კაცს ეუცხოება ეს მოთხოვნა. განა შეიძლება ითქვას, რომ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას არ აინტერესებს საკითხი, თუ რაზე მუშაობს ესა თუ ის მწერალი? მწერალს ხომ ხშირად ესმის მწერალთა კავშირის ამა თუ იმ ხელმძღვანელის შეკითხვა: „რას შვრები, რაზე მუშაობ, როდის დასასრულებ შენს რომანს, პოემას ან პიესას. მაგრამ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა დღემდე ვერ ახერხებს, რომ ახლო მივიდეს მწერლის ლაბორატორიასთან, გულდასმით შეისწავლოს ის შემოქმედებითი სიძნელეები, რომლებიც აქვს ამა თუ იმ მწერალს. და რომ ეს სიძნელეები არსებობენ, ამაზე მეტყველებენ მთელი რიგი დაწყებული და დაუსრულებელი პოემები, რომანები ჩვენი მწერლებისა, რაც უსათუოდ უარყოფით მოვლენას წარმოადგენს ჩვენს ლიტერატურულ ხინამდვილეში.

ეს გარემობა უდიდესი ყურადღების ღირსია, მაგრამ საძნელოა, რომ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ პასუხი მოგვცეს კითხვაზე, თუ რა სტადიაში იმყოფება ამა თუ იმ მწერლის მუშაობა გარკვეულ ნაწარმოებზე. რასაკვირველია, ამაში დამნაშავე მარტო კავშირის ხელმძღვანელობა როდია. თვით მწერლებს შორის, სამწუხაროდ, არ არსებობს კოლეგიალური თანამშრომლობის, ურთიერთისთვის გამოცდილების გაზიარების ის ატმოსფერა, რომელიც მწერალს საშუალებას მისცემს დასძლიოს მის მიერ დასახული მხატვრული ამოცანა. ეს ურთიერთისადმი უნდობლობისა და ზოგჯერ გაუტანლობის ატმოსფერა, როცა მწერალი ერიდება ჩაახედოს თავისი ამხანაგი ხელნაწერში, შეიყვანოს იგი თავისი მუშაობის კურსში, არის ჯგუფობრივობის მავნე ნაშთი. ეს შემოქმედებითი გათიშულობა საგრძნობი ცალკეულ მწერლებსა და ხელმძღვანელობას შორისაც, დაძლეული უნდა იქნას.

ამ კონკრეტულ ხელმძღვანელობას, თითოეული მწერლის შემოქმედებითი მუშაობის გულდასმით შესწავლას ხშირად სკვლიან ზოგადი ხასიათის ლონისძიებანი.

თუ სუსტია ხელმძღვანელობა უფროს თაობის მწერლებზე, კიდევ უფრო ცუდად სდგას ახალგაზრდა მწერლების, ახალი კადრების აღზრდის საქმე. რატომღაც მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაში შემუშავდა ისეთი შეხედულება, თითქოს ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმე, ეს ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა მწერალთა კავშირისა მთლიანად ჟურნალ „ჩვენს თაობას“ უნდა დაეკისროს. „ჩვენი თაობის“ გარშემო მარტო ტფილისში თავს იყრის ასამდე ახალგაზრდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ახალგაზრდა მწერლებს, რომლებიც რაიონებში მუშაობენ და ამაოდ ელოდებიან შემოქმედებითს დახმარებას მწერალთა კავშირისაგან. რასაკვირველია, ამათში არის საკმაო რიცხვი ისეთი ახალგაზრდებისა, რომლებმაც შეცდომით მოჰკიდეს ხელი ლიტერატურულ მუშაობას. მაგრამ ჩვენ გვყავს საკმაო რაოდენობა ახალგაზრდა მწერლებისა, რომელთა შემოქმედებაც თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ დონეზე დგას. ასეთები არიან გრ. აბაშიძე, შ. ამისულაშვილი, გ. კალანდაძე, ვ. უბილავა, მ. ფოფხაძე, რ. მარგიანი, ვ. ავალიანი და სხვები.

საჭიროა მწერალთა კავშირის მუშაობის ძირითადი გარდაქმნა, შემოქმედებითი მუშაობის გაცხოველება, რომ ჩვენი ლიტერატურა ჩვენი დიდი ეპოქის ნამდვილი სარკე გახდეს.

**ა. ჯეიშვილი**

# ალექსანდრე ყაზბეგი

ყველა დიდ მწერალს უმეტეს შემთხვევაში ჩვენ ორჯერ ვკითხულობთ: ყრმობისას და მოწიფულობისას. მოწიფულობისას მოშზადებულნი ვართ საამისოდ, რომ სავსებით ჩავწვდეთ მის სიღრმეს. წლებმა თითქო სიბრძნე და გამოცდილება შეგვმატა: გარკვეულია ჩვენთვის მისი იდეები, საზოგადოებრივი მნიშვნელობა, მხატვრული ღირებულება. მკაცრი კრიტიკის თვალით ვწონით ნაწარმოებს და არც თუ ისე ადვილად ვაპატიებთ ნაკლს. მაგრამ საბოლოოდ დავხურავთ თუ არა წიგნს, უნებურად მოვიგონებთ, რომ ოდესღაც წვრილმანი ნაკლისა თუ სამკაულის შეუმჩნევლადაც აუღელვებიხართ იქ მოთხრობილს, მთელი გრძნობით განვიცდიდით გმირთა თავგადასავალს, მათთან ერთად ვწუხდით და ვხარობდით, ვცხოვრობდით მათთან ერთი გრძნობით და ერთ გარემოში.

ნამდვილი სიყვარული, სწორედ სიყვარული, ჩვენ ბოლომდის გვაქვს მხოლოდ იმ წიგნისადმი, რომელიც ყრმობისას გვიყვარდა. ამ წლებში მიღებული პირველი შთაბეჭდილება და სურნელება განუქარვებელი რჩება.

პარადოქსად ნუ ჩამითვლით თუ ვიტყვი, რომ დიდი ოსტატებიც სწორედ იმ პირველი შთაბეჭდილების წყალობით სამუდამოდ ეზრდებიან ჩვენს სულსა და მეხსიერებას და თავს იფარავენ იმ სიცივისა და სიმკაცრისაგან, რომელიც შემდეგ ვითარდება ჩვენში.

ალექსანდრე ყაზბეგი ამ ყრმობის წმინდა სიყვარულით ცოცხლობს ჩვენში.

დღეს, როცა ხელმეორედ ვკითხულობთ მის რომანებს, წარსული შთაბეჭდილება, ძველი სურნელი თან სდევს ამ მწერლის სახელს. მგონი, გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ყაზბეგივით არც ერთი მწერალი არ გვაღელვებდა ახალგაზრდობაში.

თუ ყაზბეგის რომანებს მკაცრი დეგუსტატორის პედანტიზმით მივუდგებით, რა თქმა უნდა, შეიძლება ბრალი დავდოთ, რომ ის ხშირად უზრუნველია, დაუდევარი, სულსწრაფი, მოუთმენელი, დაუხვეწელი და სხვა და სხვა. არ უარვყოფ, ყველა ეს ნაკლი ახასიათებს მწერალს. მაგრამ მას აქვს ის, რაც ყველაფერ ამას არა თუ ანელებს, ერთი ასად ანაზღაურებს.

ყოველ დიდ მწერალს ისტორიული გამართლება აქვს, თავისი საძირკველი აქვს. განიხილო ის დროის გარეშე, მისგან მოწყვეტილად— ეს უდრის იმას, რომ არავითარი წარმოდგენა არ გქონდეს მასზე. ქვეყანაზე არაფერია თავისთავადი, არაფერი არ არსებობს მოწყვეტილად და განცალკევებულად. ისტორიული განვითარების პროცესი მთლიან რგოლს წარმოადგენს და ამიტომ ყველა ის, ვინც თავის დროზე ჩარეული იყო იმ მიმდინარეობაში, რომელიც ახასიათებდა ეპოქის მოწინავე რაზმის სულისკვეთებას, ეზრდება იმ რგოლს, სამუდამოდ აქტივში რჩება, სამუდამოდ დარჩება მამოძრავებელ ძალად და მისი ხმა არასოდეს არ დაიკარგება. საზოგადოება, ხალხი აფასებს ამა თუ იმ მწერლის ოსტატობას, მაგრამ მალე დაივიწყებს, თუ მისი ხმა თავის დროზე არ მოუწოდებდა წინსვლისაკენ, თუ მან არ გამოხატა და ბრძოლაში არ გააბნევა ხალხის სწრაფვა.

ყაზბეგის რომანის გმირები დახარბებულნი არიან სიცოცხლეს. ფიზიკური მოსპობა ისეთი საშინელებაა მზაღოსათვის, ისეთ გულუბრყვილობამდე მიდის ის, რომ მტერიც ენანება სიკვდილისათვის. გაიხსენეთ ადგილი „ელგუჯაში“, როცა ბატონის სახლიდან გაქცეულ ელგუჯას და მზაღოს მთაში გაგის რაზმმა ბრძოლა დაუწყო:

— „ჩერქეზი ლოცულობდა, — სწერს ყაზბეგი,—ბავრამ საკვირველი ეს იყო, რომ მის სათხოვარში არ გამოიხატებოდა სურვილი ერთის მხრიდან ვისმე სიკვდილისა და მეორეს კი გადარჩენისა. ის ითხოვდა, აარავინ არ მომკვდარიყო და შეყვარებულის გულის მინიჭებულებით ყველასათვის სიხარულს, ბედნიერებას და მშვიდობას ისურვებდა“.

ასეთი სიყვარული აქვთ ადამიანისადმი ყაზბეგის გმირებს. მაგრამ როცა საჭიროება მოითხოვს, როცა ვინმე ეღობება მათ ბედნიერებას და ლაფში სვრის ადამიანის მაღალ გრძნობებს, მას დაუნდობლად სჰობენ ისინი ან და თავს სწირავენ მასთან ბრძოლაში.

ყაზბეგის სიყვარული ბუნებისადმი იმით არ არის გამოწვეული, რომ იქ განმარტოდეს და თავშესაფარი ჰპოვოს. ბუნების სიმშვენიერით დატკბობა მხოლოდ თავისუფალ ადამიანს შეუძლია.

„—ელგუჯამ,—სწერს ყაზბეგი,— გახედა ამ სურათებს და გული აუძგერდა. იმან დანატრა იმ ბედნიერებს, რომელთაც თავისუფლად შეეძლოთ ამ აგდილების მშვენიერებით დატკბობა“.

უფრო ცუდად სდგას ახალგაზრდა მწერლების, ახალი კადრების აღზრდის საქმე. რატომღაც მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაში შემუშავდა ისეთი შეხედულება, თითქოს ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმე, ეს ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა მწერალთა კავშირისა მთლიანად ჟურნალ „ჩვენს თაობას“ უნდა დაეკისროს. „ჩვენი თაობის“ გარშემო მარტო ტფილისში თავს იყრის ასამდე ახალგაზრდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ახალგაზრდა მწერლებს, რომლებიც რაიონებში მუშაობენ და ამაოდ ელოდებიან შემოქმედებითს დახმარებას მწერალთა კავშირისაგან. რასაკვირველია, ამათში არის საკმაო რიცხვი ისეთი ახალგაზრდებისა, რომლებმაც შეცდომით მოჰკიდეს ხელი ლიტერატურულ მუშაობას. მაგრამ ჩვენ გვყავს საკმაო რაოდენობა ახალგაზრდა მწერლებისა, რომელთა შემოქმედებაც თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ დონეზე დგას. ასეთები არიან გრ. აბაშიძე, შ. ამისულაშვილი, გ. კალანდაძე, ვ. უბილავა, მ. ფოფხაძე, რ. მარგიანი, ვ. ავალიანი და სხვები.

საჭიროა მწერალთა კავშირის მუშაობის ძირითადი გარდაქმნა, შემოქმედებითი მუშაობის გაცხოველება, რომ ჩვენი ლიტერატურა ჩვენი დიდი ეპოქის ნამდვილი სარკე გახდეს.

**ა. ჯეიშვილი**

# მინიატიურები

**პეტრე სამსონიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

1.

ეს მშვენიერი ხასხის დილა
ბავშვობიდანვე მეალერსება:
— მოდი ჩემთან...
მოდი, ტკბილად
ვარდზე დაღვრილი ცვარნამი შევსვათ!...
რა ფაქიზია ეს ჩემი განცდა!!
რა სათუთია!!
რა ფრთა ლამაზი!...
ჩემი ჭაღარა ყრმობას ვერ გაცდა,
თუმცა ბრძენივით მწიფეა აზრიც.

2.

ფასანაური...
ფასანაური...
შესდექ ძმობილო, უცქირე ამ მთებს.
აქ მიწა ცამდე არის ასული
და სიყვარულის ნიშნად ხელს ართმევს
...და მათი პირმშო:
ცელქი არაგვი
მშობლებს ბავშვივით ეთამაშება.
შემოფლეთია ტანზე პერანგი,
როგორც იცან სოფლად ბავშვებმა.
ან რა ქნას გიჟმა?
ზვირთები ლოდებს
ამ თამაშის დროს ეხეთქებიან.
ხან ფეხსაც იტკენს....
და ისე გოდებს,
თითქოს მიწისძვრამ შესძრა მთები
მაინც თამაშით...
ისევ თამაშით
მორბის და მოაქვს მთის სიხალისე.
და როგორც მართლა ეშმაკი ბავშვი,
გულს სიხარულის სიმღერით მიესხებს.

3.

თმებში ჭაღარა გამომრევია,
მაგრამ გული ცემს ახალგაზრდულათ.
ცხოვრება, თითქოს ის მორევია,
ხად ფრთებ გაშლილი გედივით ვცურავ.
ჩემი თაობა დამწიფდა... სიბრძნე
შობლს გვირგვინივით
უმშვენერებს.
გამოცდილებას ყოველ-დღე იძენს
და დროს ასკეცათ საქმით უბრუნებს.

4.

სიხარულია: ამბობდე უთქმელ
სხვა-და-სხვა ლამაზ—
სიტყვების წყებას.
რამდენათ განცდა დღია თურმე,
ამდენათ მასზე ძნელია წერა.
მოზღვავდებიან გრძნობები უცებ
ყველას ერთბაშად უნდა სიმღერა.
სიტყვასაც გული
კაცივით უცემს,
როცა ოცნების კარი იღება.
ასე, როცა ერთი-მეორეს
გადაეხვევა ლექსი და განცდა.
პურს დამწიფებულს
მკა უნდა დროზე,
რომ არ კარგავდეს თავთავი მარცვალს.

5.

იმ მთიდან-მთამდე...
იმ მთიდან-მთამდე,
უნდა გავაბა ოქროს სიმები
იმათი ყელერით ღამეს გავათევ...
განცდებმა ზღვაში ჩავისილები.
გავაღე ძვირფას საგანძურის სკივრს,
(ეს ჩემი გული არის იცოდეთ)
ჩემი კალამი
ლექსებს მასში მკის,
რომ გადაეცეს მოდგმიდან-მოდგმებს,
გავაღე ძვირფას საგანძურის სკივრს—
(მრავალ ოცნების უცხო სამყაროს!)
რომ ყველა გრძნობა,
ვით ტალღები მტკვრის
თანდათანობით გადმოიღვაროს.

6.

ფასანაური...
ფასანაური...
ეხლა ხომ მაინც მთების გულში ვარ
ჰოი, არაგვო! ცას საამური
შენთვის ჯეჯილი ძირს გაუშლია.
რა ხმაურა ხარ ჩემო ფეხმარდო!
მოდი... ვიმღეროთ,
რაც დაგვავალეს.
ჩვენი სიმღერა ბარსაც გავანდოთ.
ჰოი, არაგვო! ბარი-ბარალე.

7.

მშვენიერი ხარ, ჩემო სამშობლოვ!
ბარიდან მოგბაათ ამობურთულო!
ჩემი სიცოცხლე
თავს შემოგევლოს,
თუ არ გიმღერო და გიერთგულო!
შენი ხსენება ვაფას, ილიას,
ვით ქარი ტალღებს ამღელვარებდა.
შენი სახელი,
ოლ ... ...ობელი ...
ბორს ...ოვანში შარაგზა რუხად
გადაპიმულა... და სწრაფად იტლი,
ბიჭარის...
ჭეტლეც ჯულმხარულად,
ბედაურების ჭენებას შეატრფის.
აქ სოფელია...
და მგზავრის თვალზე
ეტრფიალება უცხო სურათებს.
ელექტრო, ვით მზე ამომავალი
კოლმეურნეებს სახლებს უნათებს.

9.

ბბა, განაგრძე!
შარშან ჭაბუკმა,
ვით აგიძგერა გოგონას გული.
ვით მას განცდები —
ჩემს განცდებს უგავს,
ვით მას თვალები აქვს ანთებული.
ვით გახდა ბოლოს იგი მფრინავი
და დაატყვევა გმირობით შემდეგ.
და შენც ვით ქარში ობოლი ნავი,
როგორ შორდები
სიმშვიდის კედელს.

10.

აქ ყვავილები იმიტომ ყრია,
მოკრიფო, გული აიყვავილო.
რა გმირები ვართ...
რა გმირები ვართ,—
როცა ვარსკვლავს მოწყვეტას ვცდი
ლობთ.
მგონია: თითქოს ცა მოდის ჩვენთან
და ჩვენც თავს ვაბჯენთ
ცას ბედნიერი.
მგონია: თითქოს მზე ძირს ენთება,
თავის ბრწყინვალე მოგვცეს იერი...

11.

დღეს გავიარე ქუჩაში მარტო,
ვხედავ: შენდება უცხო სასახლე.
მე იმის ცქერა
მწესავით მთბობს
და აღტაცებას ამ ლექსით ვამხელ.
ჩემი დღეები
ქვეყნის დღეებთან
გადამიხლართავს ვერცხლის სიმებით.
ხშირად სიტყვები თვით ამღერდება
და სიხარულს ცრემლით ვივსები.

12.

წამოვზრდილვართ და წამოვფრენილ-
ვარ
არწივებივით ბუდეებიდან.
ეს — მთიდან მთამდე
ბრიალებს ბრჭვინვა.
ეს ქუხს მდინარე გამუდმებითა,
წამოზრდილნი და წამოფრენილნი
ცას ვეუფლებით საკაცობრიოს.
გზა ვარსკვლავებით გვაქვს მოფენილი
და აღტკინებულ
სულს რა დაცქრობს!!!

13.

ეს რა ლამაზი მზე ამოსულა!...
ყველა ხვითოს სჯობს
ზღაპრებში ნათქვამს
ბედნიერების პირსავსე სურა,
ცამ დედამიწას დაპირქვავა.
სხივთა ნექტარი ირღვევა უხვად
მეც ამ ნექტარით
თითქოს ვითვრები.
ამხედრებული დღეები ქუხან,
დღეები ქუხან, როგორც ზვირთები.
და სალამურის გულთბილი კვნესა
ხმებს ექსოვება ინდუსტრიალურს.
დიდი ამბავი —
ნათქვამი ლექსად
ეხება დიად ცხოვრების ზღვაურს.

14.

ზოგი პოეტი
ლექსს წერს ლექსისთვის!
მე კი სხვა მიზნით
ვკიდებ ბელს კალამს.
მომოიხედეთ, აბა თქვენს ირგვლივ,
რამდენს, ო რამდენს,
პურს ნახავთ ამკალს.
სიხარულია?!
მიდი კაბური
დაალევე სათუთ სტრიქონებს.
გამხიარულდი, ვით გაზაფხული...
მოახტი ტალღს და გაიჭარხალე.
სამუშაოა?!
მიდი და ლექსი
დატვირთე ხილით, კირით, აგურით.
როცა ძლიერი შრომის ხმა გესმის,
შენც სთქვი სიმღერა ამხანაგური.



მარგანეცის დატვირთვა ფოთის ნავთსადგურში. ნახ. ნადარეიშვილისა

# შემოქმედებითი აღმავლობის გზაზე

**გ. ნატროშვილი**

სოციალისტური პოეზია, საბჭოთა სინამდვილისა და ჩვენს ქვეყანაში გაფურჩქვნილი ახალი უმშვენიერესი გრძნობების გამომხატველი ლირიკა მარტო იმ პოეტების კალმით როდი ვითარდება და იქმნება, რომელნიც რევოლუციის შემდეგ გამოვიდნენ სამწერლო ასპარეზზე. სოციალისტური ლირიკის ჟანრის დამკვიდრებისა და განვითარების მაღალ მწვერვალზე აყვანის საქმეში მეტად თვალსაჩინო როლს თამაშობენ ქართული პოეზიის ძველი კადრები, პოეტები, რომელთაც საკმაოდ ხანგრძლივი ლიტერატურული წარსული გააჩნიათ და რომელთაც ჩვენი სამშობლოს უმაგალითო აყვავების ზეგავლენით, ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე გრანდიოზული პროცესების ზეგავლენით სოციალისტური რეალიზმის გზა თავიანთი შემოქმედების ერთად-ერთ და ჭეშმარიტ გზად მიიჩნიეს. ისინი სოციალიზმის ეპოქაში, როგორც პოეტები, ხელახლა დაიბადნენ.

ამ ძველი კადრების ერთ-ერთი წარმომადგენელია პოეტი **ვ. გაფრინდაშვილი**, რომლის ლექსების წიგნი ამ დღეებში გამოსცა „ფედერაციამ“. ლექსების ეს წიგნი გვიჩვენებს გაფრინდაშვილის არა მარტო დღევანდელ პოეტურ სახეს, არამედ იმ გზებსაც, რომლებიც გაიარა პოეტმა თავისი შემოქმედების პირველი სიმბოლისტური პერიოდის დასრულების შემდეგ დღევანდლამდე. ვ. გაფრინდაშვილის ლირიკა უკანასკნელი წლების მანძილზე ნათელი მაჩვენებელია იმისა, რომ ამ მდიდარი ესთეტიური კულტურის პოეტმა კარგად გაიგო სტალინური ეპოქის ისტორიული მიმართულება. მის წიგნში მოთავსებული ლექსების უმრავლესობა სოციალისტური ლირიკის ჟანრს მიეკუთვნება და იგი მთლიანად განსხვავებულია იმ ბნელი, მისტიკური, სპირიტუალისტური ლირიკისაგან, რომელიც გაფრინდაშვილისათვის დამახასიათებელი იყო მისი შემოქმედების პირველ პერიოდში.

ვ. გაფრინდაშვილის ლექსების ახალი წიგნი — ეს არის ლირიკა ჩვენი დროის ადამიანისა, ლირიკა მებრძოლისა და მშენებელისა, ლირიკა შრომისა და სილამაზისა. აქ გამოხატულია გრძნობები ჩვენი ეპოქის ადამიანისა, რომლის პიროვნული განცდები უშუალოდ და განუყრელად დაკავშირებულია კოლექტივთან, საბჭოთა ხალხთან, მილიონებთან, ბელადის უღრმეს და ტნაზეს სიყვარულთან. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ვ. გაფრინდაშვილის წიგნის თვით თემატიკა: იქ არის ლექსები **მარქსის, ლენინის, სტალინის, დიმიტროვის** შესახებ, ლექსები გმირულ ესპანეთზე, წითელ არმიაზე, სოციალისტურ მშენებლობაზე. ვ. გაფრინდაშვილი განსაკუთრებით უხვად სწერს მახვილ პოლიტიკურ თემებზე. ასეთია, მაგ., საარჩევნო სიმღერა და სხვა ლექსები.

პირველი, რაც ამ წიგნის გაცნობისთანავე მკითხველს თვალში ეცემა, არის კლასიკური ლიტერატურიდან და ნაწილობრივ მითოლოგიიდან ნასესხები მხატვრული სახეებისა და სახელების სიჭარბე. თითქმის ყოველი მოვლენა, რომლის დახატვასაც გაფრინდაშვილი ცდილობს, პოეტის შეგნებაში ასოციაციით იწვევს რაიმე შედარებას ზემოაღნიშნულ სფეროდან. ამ ხერხს ვ. გაფრინდაშვილი თავისი შემოქმედების ადრინდელ სიმბოლისტურ პერიოდშიც მიმართავდა. მაგრამ ახლა ეს კლასიკური ლიტერატურიდან ნასესხები სახელები მის ლექსებში პრინციპულად განსხვავებული და ახლებური გაგებით არის გამოყენებული. ძველად ვ. გაფრინდაშვილისათვის ლექსში ოფელიას, ჰამლეტის და პაგანინის ხსენებას არქაიზმების, სინამდვილიდან გაქცევის აზრი ჰქონდა. ეს იყო ვიწრო ესთეტიზმი. ეს სახელები ხაზს უსვამდნენ პოეტის ცხოვრებიდან ჩამოშორებას. ისინი ნათლად მეტყველებდნენ, რომ პოეტი სილამაზეს ხედავდა არა ცხოვრებაში, არამედ წარსული ეპოქის ხელოვნებაში.

ახლა კი გაფრინდაშვილი ცდილობს კლასიკური ლიტერატურის სახეები ლექსში გამოიყენოს იმისთვის, რომ უფრო წარმტაცი ფორმით გამოხატოს თავისი გატაცება დღევანდელობით. ასე, მაგ., ლექსში „მისალმება“, რომელშიაც ვ. გაფრინდაშვილი ეხება ანტიფაშისტური ძალების დარაზმვას მსოფლიოში და გერმანიის ხალხის რევოლუციის თვითშეგნების ზრდას, ვკითხულობთ:

„ვით ბირნამის ტყე, ხალხი წამოვა
დღეს თითქო უტყვი, თითქო უძრავი,
რომ ჯალათების ბინძური ხროვა,
შეშფოთდეს კიდევ შეუშფოთრავი.
დამწვარ წაგნების ფერფლი გრძნეული,
ზღაპრულ ფენიქსის ფრთებს გამოისხამს,
რომ ამეტყველდეს ხმა აწეული
მინეზინგერი ახალ დროისა“.

ბირნამის ტყე „მაკბეტიდან“, ზღაპრული ფენიქსი, მინეზინგერი, — ყველა ეს ახალ ასპექტში არის აღებული და ეს, ასე ვთქვათ, „წმინდა ესთეტიური“ სახეები ხელს უწყობენ პოლიტიკური აზრის უფრო გამახვილებასა და უფრო მკაფიოდ გამოთქმას.

ლექსში „ლენინის ხსოვნა“ ვ. გაფრინდაშვილი, გადმოგვცემს რა მილიონების მწუხარებასა და გულისტკივილს დიდი ლენინის გარდაცვალების გამო, სწერს:

„რომელ ბეთბოვენს და რომელ ვაგნერს
შეეძლო ჩვენი სევდის მხილება,
ღრუბლებმა სულა შავად დაგრაგნეს
და შექმნეს სულ სხვა განწყობილება“

ლექსში „გმირულ ესპანეთს“, ვკითხულობთ:

„ისევ გოია თავის სურათებს
სწერს ესპანეთის გრუჯულ ცაზე,
ომის საფლავებს იქ ამურავდებს
შავ ზარბაზნების ბრაზიან ხმაზე.
ლაურენსია მოუძღვის ბატალიონს,
კომანდორს გულში რომ ჩასცეს ხმალი,
რომელ ფრონდოზს არ გააკეთებს
გახდულება მისი ფრთა მალი!“.

მაგრამ ამ ხერხის ჭარბად და ზომაზე მეტად გამოყენება, რომლის ტენდენციასაც ვხედავთ ვ. გაფრინდაშვილის ზოგ ლექსში, ვეღარ ახდენს კარგ შთაბეჭდილებას. ასე, მაგ., ლექსში „ინათი და ყორათი“ პოეტი ეხება რა კოლხიდის ჭაობის გარდაქმნას. ციტრუსოვანთა აყვავებულ ბაღნარად, ამბობს: „არგონავტების ნაცვლად მოვიდნენ მუშები თავის მძლავრი მარჯვენით“. ეს კარგია, მაგრამ მეორე ლექსში, სადაც კლაპარაკია ბაქოს წიაღიდან ნავთის ამოღებაზე, და სადაც პოეტი ლეგენდარულ ოქროს ვერძს ახლა ნავთის სიმბოლოდ მიიჩნევს, იგი სწერს:

„და ოქროს ვერძის
თუ ოდესმე იყო თქმულება,
ეს არის ნავთი —
თითონ მისი დადებულება“.

და შემდეგ იმეორებს: „მოვიდა მუშა, ვით არგონავტი“. ეს შედარება უკვე უადგილოა და, თუ კოლხიდის ჭაობების ამოშრობაზე დაწერილ ლექსში იგი ბუნებრივად ისმოდა, აქ ძალით მიწებებულია. კოლხიდის თემასთან ეს ლეგენდა ბუნებრივია იმიტომ, რომ ისტორიულად ოქროს ვერძის თქმულება დაკავშირებულია კოლხიდასთან. აქ „პუშკინს“, „ცარსკოე სელო“, „დიდ ოქტომბერს“ და „შოთას“.

ვ. გაფრინდაშვილის პოეზიისათვის თავიდანვე დამახასიათებელი იყო ერთგვარი „რაციონალიზმი“, წერის ისეთი მანერა, რომლის დროსაც განსჯა, მსჯელობა ჩრდილავს ემოციას. ეს მოვლენა მკაფიოდ სჩანს ამ წიგნშიაც. ზოგიერთ ლექსში პოეტი ვერ ახერხებს გრძნობა და აზრი ერთ პოეტურ მთლიანობად გადააქციოს. ზოგიერთ ლექსში პოეტის აზრი ორგანიულად განსახიერებული არ არის მხატვრულ სახეებში, რიტმში, ინტონაციაში, შედეგად ვღებულობთ შიშველ პათოსსა და დეკლარატიულ სქემატიზმს. მაგალითად:

„მარქსმა ააყირავა
ჰეგელის ფილოსოფია,
ღმერთები ღრუბლებიდან
ძირს ჩამოიყვანა
და მოგვცა ფორმულა:
„შეგნების ქმნის ყოფა“.
ეს რეალიზმი, გვიბრუნებს ქვეყანას,
ეს არის შრომის და მიწის პირველობა,
ხალხის მიზნისკენ საბრძოლო მსვლელობა.
ეს არის სინამდვილის ხილვა და გრძნობა“.

ლექსში „ანტოლოგია და ბეტონი“, „ბაქო“ და სხვ. დაკარგულია ლექსის მელოდიურობა. ამით ჭეშმარიტი პოეტური სიღრმე იჩრდილება.

მიუხედავად ამ ნაკლისა, ლექსების ეს წიგნი ნათლად ლაპარაკობს ვ. გაფრინდაშვილის. როგორც საბჭოთა პოეტის წინსვლაზე, მის შემოქმედებით აღმავლობაზე.

# „შური“ მარჯანიშვილის სახ. თეატრში

**დ. ბენაშვილი**

მიმდინარე წლის სეზონში მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა მაყურებელს აჩვენა მეორე პრემიერა — **იონა ვაკელის „შური“**. თუ პირველი პრემიერა — „ნაპერწკლიდან“ — ეხებოდა ჩვენი ისტორიული წარსულის ერთ-ერთ უბრწყინვალეს მომენტს, სამაგიეროდ „შური“ ეხება ჩვენი სოციალისტური ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მხარეს.

ვერიკო ანჯაფარიძე აიშეს როლში.

❀

მოქმედება იშლება მზიანი აჭარის ხალხთა ყოფა-ცხოვრების ფონზე. მოქმედება სწარმოებს სუბტროპიკულ მცენარეთა დაავადების საცდელ-საკვლევ ინსტიტუტში. „შურის“ ავტორი მიზნად ისახავს— გვაჩვენოს საბჭოთა მეცნიერება სოციალიზმის სამსახურში და ის დაბრკოლებები, რომლებიც მავნებლობისა და დივერსანტების წყალობით ხვდება გზა და გზა საბჭოთა ქვეყნის დიად მეცნიერებას.

შესძლო თუ არა ავტორმა დასახული მიზნის მხატვრულად განსახიერება? აიყვანა თუ არა ავტორმა ის ამბები, რომლებიც პიესის ცენტრში იყრიან თავს, ჭეშმარიტი დრამის სიმაღლეზე, თუ იგი დარჩა ჩვეულებრივ ცდად საბჭოთა დრამის შექმნის გზაზე?.

კონტრასტების გზით იონა ვაკელი გვაძლევს ორ მოწინააღმდეგ ძალას: ერთ მხარეზე სდგას სოციალიზმის მშენებელი, ფრიად ნიჭიერი მეცნიერი, ქიმიკოსი ჯემალ ვარშანიძე, ხოლო მეორე მხარეზე — ნიღაბ-აფარებული კლასობრივი მტერი, იმავე დარგის მეცნიერი — შუქრი ხალვაში. ამ ორი ძალის იდეური დაპირისპირების გზაზე იქმნება დრამატიული კონფლიქტების მთელი წყება. პიესის დანარჩენი მომქმედი პირები ერთგვარად ავსებენ ან ამძაფრებენ ამ კონფლიქტებს.

ორი მოწინააღმდეგე ძალის დაპირისპირების დროს იონა ვაკელს შეგნებულად უცდია თავის არიდება ტრადიციული გზისათვის, როდესაც დაპირისპირება ვერ სცილდება სქემატიურ ჩარჩოს და დრამა, ამ სიტყვის მხატვრული გაგებით, კარგავს მნიშვნელობას. მაგრამ ეს შესანიშნავი ცდა ზოგ შემთხვევაში ბოლომდე არ არის მიყვანილი: ავტორს თითქოს ეშინია კონფლიქტების გამძაფრებისა. ამ ნიადაგზე ერთგვარი სიმკრთალე ეტყობა ჯემალ ვარშანიძის როლს.

შედარებით ძლიერად არის წარმოდგენილი ქიმიკოსი შუქრი ხალვაში და უფრო ძლიერი იქნებოდა იგი, რომ მას ამოძრავებდეს არა

კაკო კვანტალიანი სეით მოწყობილის როლში.

❀

როლს, მათში ვერ ამჩნევთ უხერხულ მსგავსებას, განმეორებას.

ასეთივე სისრულით და ძალით ანსახიერებს ნიჭიერი არტისტი **კაკო კვანტალიანი** სეით მოწყობილის როლს. სეით მოწყობილი მშიშარა ადამიანია, მაგრამ ერთგული თავისი იდეებისა. სიმხდალისა და იდეებისადმი ერთგულების კონფლიქტის მიჯნაზე კვანტალიანმა შექმნა სრულყოფილი სახე.

არც ერთ სპექტაკლში **ა. ყორჟოლიანს** ისეთი ძალით არ განუსახიერებია როლი როგორც „შურში“. ერთ დროს თავისებური ნაკლი ახასიათებდა ყორჟოლიანს. იყო თუ არა საჭირო აუდიტორიის სიცილი, იგი მაინც აცინებდა. ამ ნიადაგზე თავისდა შეუმჩნევლად ხშირად ხელს უშლიდა თეატრალურ აუდიტორიას დრამის ზოგიერთი საკვანძო ადგილის ათვისებაში. სულ სხვაა „შურში“. აქ, შეიძლება ითქვას, იპოვა თავისი თავი ყორჟოლიანმა. ალიბასტროს სახე ქართულ არტისტულ ნიღაბთა ისტორიაში ერთ უმნიშვნელოვანეს სახედ დარჩება.

აიშეს როლს დიდებულად ასრულებს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი **ვერიკო ანჯაფარიძე.**

ძალიან სუსტია მსახიობი **ე. დონაური** ნადიას როლში. ჩემის აზრით, ამ ტიპის სისუსტე უფრო დრამატურგის ბრალია, ვიდრე არტისტისა. არტისტს სრულიად არა აქვს სიტყვიერი მასალა, რომ თავისი ძალა გამოაჩინოს. დონაურს თეატრალური აუდიტორია იცნობს როგორც საუკეთესო მსახიობს, მაგრამ, სამწუხაროდ, სიტყვიერი მასალის უქონლობის გამო ამ სპექტაკლში იგი ფერმკრთალი გამოვიდა.

გულუბრყვილო, მაგრამ მეტად ხალისიან სახეს ქმნის არტისტი **ი. გვინჩიძე** ახალგაზრდა ქიმიკოსის დურსუნის როლის განსახიერების დროს.

პიესაში სრულიად უადგილო და გაუმართლებელია სპირიდონ ტიპიკონის როლი. ამასთან თვით ამ როლის შემსრულებელი **ლომაია** მეტად დაბალ მხატვრულ დონეზე დგას.

რეჟისორის მიერ სრულიად გაუმართლებლად არის მოცემული დურსუნის მოწამვლის სცენა. არავითარი რეალობა, არავითარი ზომიერება ამ სცენაში არ არის (გაიხსენეთ განათებული ფონი, სადაც მოსჩანს ალიბასტროსა და სეით მოწყობილის შეხლა-შემოხლა).

არჩილის როლს კარგად ასრულებს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი **შალვა ღამბაშიძე.**

საერთოდ კი, თუ მაყურებელთა ხშირი ოვაციები ერთის მხრით, გამოხატავენ სიყვარულს სცენაზე მომქმედ ჩვენი ქვეყნის შესანიშნავ ადამიანთა სახეებისადმი, მეორეს მხრით, იგი აიხსნება ნაწარმოებისა და დადგმის მხატვრული ღირსებით.

„შური“ დრამატურგისა და თეატრის მორიგი გამარჯვებაა.



# წითელი არმიის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო

დიდი სიყვარული და გულწრფელი შემოქმედებითი ენტუზიაზმით ჩაატარა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა მუშურ-გლეხური წითელი არმიის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო.

მწერლებითა და წითელი არმიის ნაწილებიდან მოწვეულ სტუმრებით სავსე აუდიტორიას მოკლე შესავალი სიტყვით მიმართა ამხ. **სანდრო ეულმა,** რომელმაც აღნიშნა რა ჩვენი მშობლიური არმიის უდიდესი დამსახურება ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური სამშობლოს წინაშე, ხაზი გაუსვა საბჭოთა მწერლების დიდ სიყვარულსა და პატივისცემას საბჭოთა ქვეყნის მშვიდობიანი შრომის დარაჯისადმი,—ჩვენი სახელოვანი წითელი არმიისადმი.

ამხ. **შალვა რადიანმა** თავის მოხსენებაში მიმოხილვა გაუკეთა წითელი არმიის გმირულ ბრძოლებს და მის შემოქმედებითს მუშაობას, სოციალისტური სამშობლოს თავდაცვის საქმეში.

ამხ. **ბ. ულენტმა** აუდიტორიას ვაცნო თუ როგორ არის ასახული ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში სამოქალაქო ომები და წითელი პარტიზანების როლი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში.

ამხ. **ალ. გომიაშვილმა** მოკლე მიმოხილვა გაუკეთა წითელი არმიისადმი მიძღვნილ ლექსებსა და პოემებს, აგრეთვე ფოლკლორულ მასალას და აუწყა აუდიტორიას, რომ ამ მოკლე ხანში ქართველი მწერლების კოლექტივი წითელ არმიას მიუძღვნის ერთს დიდს კრებულს.

წითელი არმიის შესახებ და წითელი არმიისათვის დაწერილ სიმღერებისა და ლექსების კითხვით გამოვიდნენ: **ა. აბაშელი, ვ. გაფრინდაშვილი, პ. სამსონიძე, ვ. გაბესკირია, ალ. გომიაშვილი, ვ. გორგაძე, გ. კაჭახიძე, ს. თავაძე, მ. მიქელაძე, გ. ქუჩიშვილი, შ. ამისულაშვილი** და **ს. ეული. რ. ქორქიამ** წაიკითხა ნოველა „ძარილის აკვანი“ სამოქალაქო ომის შესახებ დაწერილ მოთხრობათა ციკლიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ საღამო იყო შინაარსიანი. გამოითქვა სურვილი, რომ ეს საღამო იმავე პროგრამით განმეორებულ იქნას წითელი არმიის ნაწილებსა და მუშათა აუდიტორიაში.

## მონოგრაფია ნიკო სულხანიშვილზე

სახელგამის მუსიკალურმა სექტორმა გამოსცა გიორგი ნადირაძის წიგნი „ნიკო სულხანიშვილი“ (მონოგრაფია).

ამ შრომაში მოთხრობილია ნიკო სულხანიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ამბავი. ბევრი დაბრკოლება გადაულახავს ავტორს ჩვენი მუსიკალური კულტურის ფრონტზე თვალსაჩინო მოღვაწისა და ჩინებული კომპოზიტორის ბიოგრაფიული მასალის შეგროვების დროს. ამ შრომის შედგენისას ავტორს უმთავრესად უსარგებლნია კომპოზიტორის ნაცნობთა მოგონებით. ამის გამო ამ თვალსაჩინო ადამიანის ცხოვრების აღწერილობამ ფრაგმენტული ხასიათი მიიღო.

ამხ. გ. ნადირაძეს მაინც მეტად საინტერესო მასალისათვის მოუყრია თავი, წიგნი საკმაო წარმოდგენას აძლევს მკითხველს ამ საინტერესო და თითქმის დავიწყებული კომპოზიტორის შესახებ.

წიგნში მრავლად არის მოთავსებული ქართული მუსიკის მოღვაწეთა პორტრეტები და საარქივო მასალა.

განსაცვიფრებელია ერთი გარემოება: წიგნი დაბეჭდილია არა მაღალი ხარისხის ქაღალდზე, შესდგება პატარა ფორმატის 140 გვერდისაგან და ღირს 4 მან. 40 კაპ. (ტირაჟი 3.000 ცალი).

საინტერესოა, რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ სახელგამის კალკულატორები, როდესაც ამ პატარა წიგნს ასეთ დიდ ფასს აწერდნენ?

## „შეფოთლილი ხეივანი“

სახელგამის საბავშვო სექტორმა გამოსცა პოეტ გიორგი კაჭახიძის საბავშვო ლექსების წიგნი „შეფოთლილი ხეივანი“. წიგნში მოთავსებულია პოეტის მიერ 1932-1936 წლებში დაწერილი 59 საბავშვო ლექსი.

წიგნი შეიცავს 140 გვერდს და ღირს 3 მან. და 50 კაპ.

წინამდებარე წიგნი თავისი შინაარსით მეტად საინტერესოა ნორჩი თაობისათვის. მას სიამოვნებით კითხულობენ ჩვენი ქვეყნის ბედნიერი ბავშვები. გარეგნულად კი აღნიშნული წიგნი არ შეესაბამება შინაარსს, იგი ცუდად არის გაფორმებული. ერთფეროვანი წარწერები და სურათები მეტად მოსაწყენად არის შესრულებული. გარდა ამისა, წიგნი დაბალი ხარისხის ქაღალდზეა დაბეჭდილი.

ჩვენ გვგონია, დროა საბავშვო სექტორმა მიჰბაძოს რუსეთის საბავშვო წიგნების გამომცემლობებს. რუსეთში უბრალოდ გამოცემულ საბავშვო წიგნებსაც კი მეტი მზრუნველობა და საქმის ცოდნა ატყვია.

## ჟურნალ „მნათობის“ მიმდინარე წლის პირველი ნომერი

გამოვიდა და ხელისმომწერლებს დაურიგდებათ ჟურნალ „მნათობის“ მიმდინარე წლის პირველი ნომერი. ჟურნალში მოთავსებულია: საკ. კ. ბ. (ბ) ც. კ-ის იანვრის პლენუმის დადგენილება, „პრავდას“ შოწინავე რუსთაველის იუბილეს შესახებ — „საბჭოთა კულტურის დიადი დღესასწაული“. მხატვრული ლიტერატურის განყოფილებაში მოთავსებულია ალ. აბაშელის ლექსი „ლენინის ხსოვნას“, ხალხური ლექსი ლენინზე, ტფილისის საქალაქო საბჭოს რუსთაველის საიუბილეო საზეიმო პლენუმის მიმართვა ხალხთა დიდ ბელადს—**დიდ სტალინს,** ლექსად გარდათქმული გიორგი ლეონიძის მიერ, კონსტანტინე ლორთქიფანიძის „პოლიშუკები“ (ციკლიდან „ბელორუსული მოთხრობები“), ალექსანდრეს „ჰიმნი სტალინისადმი“, ვალერიან გაფრინდაშვილის „რუსთაველის დედა“, გიორგი კაჭახიძის „ღაღადი და სიხარული“, ივ. ყიფიანის „შოთას“, სოლომონ თავაძის მოთხრობა „ჯილდო“, ჯამბულის „სიმღერა სიცოცხლეზე“ (თარგმ. დ. გაჩეჩილაძისა), ნ. ასეევის „შოთა რუსთაველი“ (თარგ. დ. გაჩეჩილაძისა), მიკოლა ბაჟანის „თმოგვის გზა“ (თარგ. მ. ბატარაძისა), ვ. სოსიურას „რუსთაველი“ (თარგ. დ. გაჩეჩილაძისა, იანკა კუპალას „მზიური რუსთაველს“ (თარგ. მ. პატარაძისა), ალ. ქუთათელის რომანის „პირისპირის“ მეორე წიგნის დასასრული, ნ. ნეკრასოვის „რაინდი ერთი საათით“ (თარგ. ვ. გორგაძისა). კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილებაში მოთავსებულია ამხ. კანდიდ ჩარკვიანის „საქართველოს საბჭოთა ლიტერატურა უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე“. ვასილ ბარნოვის „შოთა რუსთაველი“, გ. ნატროშვილის „ალ. ყაზბეგი“.

განყოფილებაში „სალიტ. არქივი“ მოთავსებულია ალ. ყაზბეგის ორი ლექსი, ცნობა „ნ. ნეკრასოვის პიესა ტფილისის სცენაზე 1846 წელს“.

ჟურნალის ამ ნომერში ბიბლიოგრაფიული განყოფილება ვრცლად არის წარმოდგენილი. დაბეჭდილია პროფ. კ. დონდუას წერილი „საშინელი უმეცრება“, ივ. ენაკოლოფოვის „ვეფხის-ტყაოსნის“ პირველი გამოკვლევები და თარგმანები რუსულ ენაზე“, ტრ. რუხაძის „რუსთაველის ეპოქის ლიტერატურული ძეგლები“, ნ. თ.-ს „ლეო ქიაჩელის მოთხრობები“, ნ. თ.-ს „ე. პოლუმორდვინოვის მოთხრობები“.

# ლიტერატურული კალენდარი

**გიორგი ჭალადიდელი**

(1847—1898).

შესრულდა ორმოცი წელი პოეტ გიორგი ჭალადიდელის (გიორგი მაქსიმეს-ძე ქოჩაქიძის) გარდაცვალებიდან. გ. ჭალადიდელი ეკუთნოდა „თერგდალეულთა“ ჯგუფს და თავის დროზე საკმაოდ პოპულარული პოეტი იყო. მისი ცნობილი ლექსი „მოგონება“ („მახსოვს პირველად სასწაულებელში“) ორმოცი წლის განმავლობაში ამშვენებდა ი. გოგებაშვილის „დედა-ენასა“ და „ბონების კარს“. ხოლო „ეორე ლექსს—„მიყვარს ფაცხა მე ძეგრული“ დიდი სიყვაოულით აღიროდა ხალხი გ. ჭალადიდელი, როგორც სხვა „თერგდალეულები“, თავს დასტრიალებდა თავის ლექსებში მშრომელ ხალხს და თავის სამშობლოს, რომელიც ცარიზმის დროს გათელილი იყო და დაპყრობილ კოლონიას წარმოადგენდა, ეს გრძნობა—საშობლოს სიყვარული—მან ბევრ თავის საოცარ ესო ლექსებში გამოხატა.

გიორგი ჭალადიდელი დაიბადა 1847 წელს, 23 აპრილს, სოფ. ფერსათში (იმერეთში), დედას სოფელში. 1859 წელს პოეტი ქუთაისის გიმნაზიის პანსიონში მიიღეს. 1869 წელს გიორგი ქოჩაქიძემ დამთავრა ასწავლებელი, ხოლო 1859 წლის სექტემბერში იგი პეტერბურგს წავიდა სწავლის განსაგრძობად, მაგრამ ხელმოკლეობის გამო მიზანს ვერ მაღწია.

1870 წელს, გიორგი სამხედრო სამსახურს იწყებს. ამ აზრით ის ოფიცრად შევიდა ცარტელერიო სასწავლებელში, რომელიც 1873 წელს დამთავრა ოფიცრის ხარისხით. 1884 წელს, პოეტი დაქორწინდა და რუსეთშ, დარჩა სამსახურში. თავისი ცხოვრების მეტი ნაწილი პოეტმა რუსეთში გაატარა. 1898 წელს გ. ჭალადიდელი გარდაიცვალა ბელორუსაში, ქ. მინსკში, სადაც იმდროს სამხედრო სამსახურში იყო. გარდაცვალებიდან მეორე თვეს პოეტი სამშობლოში ჩამოასვენეს და სოფელ ჭალადიდში დაკრძალეს.

გ. ჭალადიდელი გულწრფელი ამსახველი იყო სამოცაანი წლების იდეებისა ჩვენში. როგორც თანამედროვე და მიმდევარი ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლისა, გ. ჭალადიდელიც, მთითან ერთად, ყველა იმ დროინდელ ჟურნალ-გაზეთში იბეჭდებოდა. ლექსების ბეჭდვა დაიწყო სერგეი მესხის „დროებაში“. შემდეგ ძისი მხატვრული ნაწარმოებები იბეჭდებოდა „სასოფლო გაზეთში“, „კრებულში“, „მოამბეში“, „ივერიაში“ და სხვა პერიოდულ გამოცემებში. რამდენიმე მისი ლექსი და პოემა „დროების კალენდრებშიც“ დაიბეჭდა.

1913 წელს, ქუთაისში ცალკე წიგნად გამოვიდა გ. ჭალადიდელის ნაწერები. ჩვენი ლიტერატურული საზოგადოებრიობა გულთბილად შეხვდა ამ წიგნის გამოსვლას და მრავალი წერილი დაიბეჭდა იმდროინდელ პრესაში ჭალადიდელის პოეზიის შესახებ.

გ. ჭალადიდელის სიყვარული მშრომელთა მიმართ უსაზღვრო იყო. თავის ლექსში „ქება შრომას“ ის წერდა:

„ქება მუშის მუშურ ხმას
და მის მარტოხელა ბედს“.

ამიტომვე უყვარდა პოეტს ღარიბი „ფაცხა“:

„მიყვარს ფაცხა მე მეგრული,
მთა კორტოხზე წამოდგმული,
უფიცარო და უყვავარო,
წვრილი წნელითო ჩახლართული“.

ხოლო სამშობლოსადმი უმწიკვლო სიყვარულს პოეტმა მრავალი ლექსი და პოემა უძღვნა. მათში ბევრია საყურადღებო: „მოგონება“, „ალავერდი“, „უბედურნი“, „სიზმარი“, „ყურძნის კრეფა“, „ბორდის მთაზე“ და სხვა.

როგორც აღვნიშნეთ, გ. ჭალადიდელი საერთოდ მამდგარი იყო მე-19 საუკუნის დიდი პოეტების ი. ჭავჭავაძის და აკ. წერეთლისა. მაგრამ მას მაინც გააჩნია საგრძნობი პოეტური ინდივიდუალობა. ამ მხრივ ლიტერატურის ისტორიისათვის გ. ჭალადიდელის შემოქმედება ინტერესს მოკლებული არ არის.

**დ. შამათავა.**

# სამოქალაქო ომის ეპოქის პლაკატები

წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 20 წლისთავის აღსანიშნავად ტრეტიაკოვის გალერეაში გაიხსნა სამოქალაქო ომის წლებში შექმნილი საბჭოთა საუკეთესო პლაკატების გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილია „როსტა“-ს პლაკატები, მხატვრების დენის, ჩერემნიხის, მოორის, აპსიტის და სხვათა ნამუშევარი. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საბჭოთა პლაკატის ფუძემდებლის ვლადიმერ მაიაკოვსკის შესანიშნავი ნამუშევარი.

გამოფენაზე წარმოდგენილი 60 ექსპონატი დალაგებულია თემატიურად.

„წითელი არმია — ხალხის არმიაა“—ამ განყოფილებაში თავმოყრილია ის პლაკატები, რომლებიც მოგვიწოდებენ დავიცვათ ჩვენი რესპუბლიკა თეთრების ბანდებისაგან, მოგვიწოდებენ წითელ არმიის რიგებში ჩადგომას.

მხატვრების დენის და აპსიტის პლაკატებით იხსნება განყოფილება „ანტანტის პირველი გამოლაშქრება“. ცალკე განყოფილებებშია მოცემული ანტანტის მეორე და მესამე გამოლაშქრებები.

გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევარი განირჩევა მაღალ-მხატვრული ხარისხიანობით, ღრმა ბოლშევიკური იდეურობით, სუფეტის განსაკუთრებული მრავალფეროვნებით და მხატვრული მოფიქრებით.

# სიმღერები თბილისის შესახებ

დასრულდა გაზეთ „მუშას“ მიერ გამოცხადებული კონკურსი საუკეთესო სიმღერაზე თბილისის შესახებ. საკონკურსოდ რედაქციამ მიიღო 231 ლექსი. 6 მარტს ჟიურიმ (თავ-რე ამხ. ი. რუხაძე—„მუშის“ პ-მგ. რედაქტორი, წევრები: ამხ. შ. რადიანი, ს. ჩიქოვანი, ი. მოსაშვილი,—საქ. მწერალთა კავშირიდან, კომპ. გრ. კოკელაძე) დაასრულა საკონკურსოდ წარმოდგენილი ლექსების განხილვა.

კონკურსის მონაწილე ავტორთა დიდმა უმრავლესობამ ვერ შეასრულა კონკურსის პირობები (თემატიკა, ლექსის სასიმღერო წყობა), ვინაიდან ვერც ერთი ლექსი მთლიანად ვერ აკმაყოფილებს კონკურსის პირობებს, ჟიურიმ, პირველი ჯილდო არავის მიუსაჯა. მეორე ჯილდო მიუსაჯა პოეტების ა. აბაშელის და დ. გაჩეჩილაძის ლექსებს, მესამე—პოეტ ს. ფაშალიშვილის ლექსს. ჟიურიმ, თანახმად კონკურსის პირობებისა, გარდა პრემირებული ლექსებისა, გაზეთში გამოსაქვეყნებლად მოიწონა პოეტების ვ. ჟურულის, გ. ქუჩიშვილის, ს. თავაძის, ე. პოლუმორდვინოვის და ა. თევზაძის ლექსები.

ამით დასრულდა კონკურსის პირველი ტური: სიმღერისათვის საჭირო ტექსტების დადგენა. ახლო მომავალში რედაქცია გამოაცხადებს კონკურსის მეორე ტურს (საუკეთესო მუსიკაზე).

პრემირებული და მოწონებული ლექსები დაიბეჭდება ჩვენი გაზეთის მახლობელ ნომრებში.

# უცხოეთის ქრონიკა

## საბჭოთა დრამაგვიგია ინგლისში

ლოურენსია და უირშატის გამომცემლობამ (ლონდონში) ამ რამდენიმე ხნის წინად გამოუშვა ცალკე წიგნებად საბჭოთა პიესები: მ. გორკის „იგორ ბულიჩევი“, ვს. ვიშნევსკის „ოპტიმისტური ტრაგედია“ და ნ. პაგოდინის „არისტოკრატები“.

ლონდონის გაზეთი „დეილი უორკერი“ ამ პიესებზე სწერს:

„ამ პიესების დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს მათი განსაკუთრებული აქტუალობა. მათი ერთიანი თემა — რევოლუცია — დამუშავებულია შეუდარებლად. ეს პიესები აღსავსეა სიცოცხლით. მათში იგრძნობა სასტიკი, ნათელი სიძლიერე.

მ. გორკის პიესა „იგორ ბულიჩევი“ ასახავს რევოლუციის გავლენას რუსული ბურჟუაზიის ოჯახზე. ეს პიესა შესანიშნავად დადგა ვახტანგოვის თეატრმა, სადაც აქტიორული შესრულება, პიესის დედააზრისა და ცალკეული როლების გაგება, დეკორაციები, — ყველაფერი უმცირესს დეტალებამდე სიმართლით და სიცოცხლით იყო აღსავსე.

განსაკუთრებული ყურადღებით დამსახურებულად სარგებლობენ ვიშნევსკის „ოპტიმისტური ტრაგედია“ და პაგოდინის „არისტოკრატები“.

პიესა „არისტოკრატები“ მიძღვნილია ბელშომორბალტიის არხის მშენებლობისადმი და ასახავს იმას, თუ როგორ იქმნებოდნენ პატიოსან მოქალაქეებად ამ მშენებლობაზე მომუშავე ბოროტმოქმედნი. ისინი საპასუხისმგებლო პოსტებზედაც კი ინიშნებოდნენ.

ეს პიესები ასახავენ რევოლუციას არა უბრალოდ, როგორც პოლიტიკურ მოვლენას, არამედ როგორც ძალას, რომელიც გარდაქმნის ადამიანებს, აჩვევს მათ დისციპლინას და ავსებს მათ იმედით. ამ პიესებში, უეჭველია, უფრო მეტად არის ადამიანის ბუნება გაგებული, ვიდრე ინგლისის ბურჟუაზიული თეატრის ბუნდოვან ფსიქოლოგიურ და ეროტიკულ ლაყბობაში“.

## ნ. ოსტროვსკის ნაწერები

ნ. ოსტროვსკის ნაწერები „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ და „ქარიშხალში შობილნი“ გამოვიდა ჩეხურად ჩეხოსლოვაკიაში. ორივე წიგნი კარგად იქნა შეფასებული ჩეხური კრიტიკის მიერ და ჩეხელ მკითხველთა შორის დიდი წარმატებით სარგებლობს.

## კომპოზიტორ დ. შოსტაკოვიჩის მეხუთე სიმფონია

ევროპისა და ამერიკის მუსიკალური წრეები დიდ ინტერესს იჩენენ შოსტაკოვიჩის მეხუთე სიმფონიისადმი, რომელიც დიდად შეფასა საბჭოთა საზოგადოებრივობამ და პრესამ.

საზღვარგარეთთან კულტურული კავშირის ორგანიზაციას, საბჭოთა კომპოზიტორების კავშირისა და „საერთაშორისო წიგნს“ მოსდის უამრავი თხოვნა, შოსტაკოვიჩის მეხუთე სიმფონიის პარტიტურისა და საორკესტრო პარტიების გადაგზავნის შესახებ.

ლონდონის, ფილადელფიის, სტოკჰოლმის და სხვა ქალაქების საკონცერტო ორგანიზაციებს განზრახული აქვთ შეასრულონ საბჭოთა კომპოზიტორის ეს ახალი ნაწარმოები.

„განზრახულია შოსტაკოვიჩის მეხუთე სიმფონია პირველად საზღვარგარეთ შესრულებულ იქნას მარტის პირველ რიცხვებში ნიუ-იორკში სახელგანთქმული დირიჟორის არტურ ტოსკანინის ხელმძღვანელობით.

ამ საქმეს აწყობს რადიოგადაცემის ნაციონალური კამპანია. ნიუ-იორკში შესრულების დროს, სიმფონია გადაცემული იქნება ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში.

პ.-მბ. რედაქტორი **შალვა რადიანი**

# „ვეფხის ტყაოსნის“ დედნის ძიების შესახებ *)

შვიდნახევარი საუკუნე გავიდა „ვეფხის-ტყაოსნის“ დაწერის შემდეგ. მაგრამ უკვდავი პოემის გენიალური ავტორი დღემდე საიდუმლოებით არის მოცული. მისი პიროვნება, მისი ცხოვრება და მისი ბედი დღესაც გამოურკვეველია და ოცნების საგნად იქცა. მისი სფლავი დაკარგულია, არ არსებობს მისი ნამდვილი სურათი და სხვა.

ასეთი საშინელი ბედი არ სწვევია არც ერთი ხალხის დიდ პოეტს. შექსპირის ბიოგრაფია თითქმის სავსებით გამორკვეულია. გარდა ამისა, მისი უდიდესი მემკვიდრეობა, რომელიც კაცობრიობას საბიენერიოდ დარჩა, მეორეხარისხოვანად აქცევს სტრატფორდელ შექსპირის უდავო ავტორობის საკითხს, ასევე რომ არ იყოს, სავსებით ცნობილია ზოგიერთი შექსპიროლოგის მიერ დასახელებული შექსპირის ავტორობის პრეტენდენტთა ბეკონისა და რეტლანდის ბიოგრაფიაც.

ჩვენ კი არაფერი არ მოგვეპოვება, რუსთაველის ერთი ნაწარმოებას გარდა, რომელიც ამასთან დაუსრულებელ კამათს იწვევს, რადგან მისი უძველესი ხელნაწერი მე-17 საუკუნეს არ სცილდება. ეს გარემობა, რასაკვირველია, სვამს საკითხს იმის შესახებ — ეკუთვნის თუ არა რუსთაველს მთლიანად „ვეფხის-ტყაოსნის“ ტექსტი, თუ მისი ზოგიერთი ნაწილი შესრულებულია მიმბაძველებისა და გადამწერლების მიერ? შეუძლებელია ზუსტად გამორკვეულ იქნას — ურევია თუ არა ინტერპოლატორების ხელი „ვეფხის ტყაოსნის“ იმ სტროფებზე, რომელნიც ჩვენს მეცნიერებს საეჭვოდ მიაჩნიათ.

უბედურება ის არის, რომ არ მოგვეპოვება არც „ვეფხის-ტყაოსნის ორიგინალი, არც ისეთი ხელნაწერი, რომელიც შეიძლება მიჩნეულ იქნას უძველეს და დედნიდან უშუალოდ გადაწერილ ვარიანტად. ეს გარემოება თავისთავად არკვევს „ვეფხის-ტყაოსნის“ ორიგინალის ან ხელნაწერის პირველი ვარიანტის აღმოჩენის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. „ვეფხის-ტყაოსნის“ დედნის აღმოჩენა, გარდა მისი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობისა, საბოლოოდ გადასჭრის რუსთაველოლოგების დაურსულებელ დავას.

მაგრამ შეიძლებელია თუ არა „ვეფხის-ტყაოსნის“ დედნის აღმოჩენა? შესაძლებელია თუ არა მოხდეს მართლაც ისეთი სასწაული, რომ ქართველ ხალხს და ეროვნულ კულტურულ კაცობრიობას საშუალება მიეცეს შეეხოს ხელით ადამიანის გენიის უდიდეს ნაწარმოებს, პოეზიის უკვდავ შედევრს? გადაჭრით ამის თქმა შეუძლებელია. მაგრამ ყოველ ასეთ საქმეში არსებობს შესაძლებლობის ერთი მეათედი პროცენტი, რომელიც ზოგჯერ მართლდება. რამდენიმე წლის წინად სწორეთ ასეთის ვარაუდით აღმოჩენილ იქნა ტუტან ხამენის სამარხი მრავალჯერ გადათხრილ ეგვიპტეში. მიუხედავად იმისა, რომ ისეთი ცნობილი ეგვიპტოლოგი, როგორც ბრეიტედი, აღარე კი ოცნებობდა ამ სამარხის აღმოჩენაზე.

„ვეფხის-ტყაოსნის“ დედნის ძიების საკითხი ჩვენი მეცნიერებისათვის აქტუალურ საკითხად უნდა ჩაითვალოს. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით მუშაობა თითქმის არ სწარმოებს. ისტორიულ ადგილების გათხრას დიდძალი თანხა სჭირდება და, რაც მთავარია, ეოტანი არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც ამ საქმის ცოდნა და სიყვარული მოეპოვებათ.

მე მინდა გამოვსთქვა მოსაზრება, თუ რა გზით და როგორ შეიძლება იმის პოვნა.

რუსთაველი ამბობს, რომ მას უბრძანეს მათდა, ე. ი. თამარის საქებრად „თქმა ლექსებისა ტკბილისა“. ეს, რასაკვირველია, ნიშნავს იმას, რომ რუსთაველს შეუკვეთეს თამარის სადიდებლად, ლექსების შეთხზა. ამგვარად, „ვეფხის-ტყაოსანი“ წარმოადგენს ისეთ ნაწარმოებს, რომელიც რუსთაველმა დაკვეთათ შესრულებული ნაწარმოებია, რომელიც, დამთავრების შემდეგ, რუსთაველმა სახელმწიფოს წარუდგინა. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემობა, რომ წიგნი მე-12 საუკუნეში დიდ განძს წარმოადგენდა და მით უფრო დიდი ღირებულება ექნებოდა ისეთ შესანიშნავ ნაწარმოებს, როგორიც არის „ვეფხის-ტყაოსანი“. ამრიგად, „ვეფხის-ტყაოსანი“ წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებას, როგორც დედანი და დასრულებული ხელნაწერი. დაწერილი თამარ მეფის სადიდებლად.

თავის-თავად ცხადია ისიც, რომ პოემის ხელნაწერი და ვარიანტები დარჩებოდა ავტორს. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ რუსთაველმა ერთი კალმის მოსმით დაიწყო და დამთავრა თავისი პოემა იმ სახით, როგორიც იგი მან სახელმწიფოს გადასცა.

როგორ უნდა რუსთაველის პოეზის გადაწერა და გამრავლება? შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ ავტორის ცხოვრებაში ადგილი ჰქონოდა პოემის გადაწერას რუსთაველის შავ ხელნაწერებიდან და მით უფრო უარყოფილ ვარიანტებიდან, რადგან ეს უხერხული და პოლიტიკურადაც დაუშვებელი იქნებოდა, თუ მხედველობაში მივიღებთ წოდებრივ იერარქიას თამარის ეპოქაში და ავრეთვე იმ ფაქტს, რომ ასეთი წიგნის საკუთრად ჭონება შეიადგენდა მხოლოდ უწარჩინებულესთა პრივილეგიას. შეგვიძლია დავუშვათ, რომ „ვეფხის-ტყაოსნის“ გადაწერის საშუალებას იძლეოდა თვით სახელმწიფო, რომელიც ამა თუ იმ წარჩინებულ პირს ფორმალურად მხარის დაცვით ანდობდა რუსთაველის დედახს გადასაწერად, რის შემდეგაც დედანი ისევ სახელმწიფოს უნდა დაბრუნებოდა. დაუშვებელია აგრეთვე იმის, წარმოდგენა, რომ ავტორისა და თამარის ცხოვრებაში ადგილი ჰქონოდა გადამწერ-ადგენდნენ. ასეთი შეკვეთის მაგალითი მრავალია. რენესანსის უდიდესი მხატვრები—ლეონარდო, მიქელ ანჯელო, რაფაელი და ტიციანი რომის პაპებისა და იტალიის მთავრების შეკვეთებს ასრულებდნენ. შექსპირის ერთ-ერთი შესანიშნავი კომედია დედოფლის ელისაბედის დაკვეთით. არის დაწერილი. ასეთივე სურათი იმლება ჩვენ წინ „ვეფხის-ტყაოსანის“ შესავალში. ამგვარად, „ვეფხის-ტყაოსანი“ სახელმწიფოს დაკვეთით შესრულებული ნაწარმოები, რომელიც, დამთავრების შემდეგ, რუსთაველმა სახელმწიფოს წარუდგინა. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემობა, რომ წიგნი მე-12 საუკუნეში დიდ განძს წარმოადგენდა და მით უფრო დიდი ღირებულება ექნებოდა ისეთ შესანიშნავ ნაწარმოებს, როგორიც არის „